



ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების
სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
(ა.ა.ი.პ. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანება)
(ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელ დიმის საბავშვო ბაღი)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: სალომე აბდალაძე

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: თეა ქემოკლიძე

კვების დარგში ექსპერტი: მარიამ გორდაძე

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: რუსუდან ჯანიაშვილი

ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია



1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საფირმო სახელწოდება	ა.(ა).ი.პ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანება
საიდენტიფიკაციო ნომერი	425060854
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში)	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელ დიმის საბავშვო ბაღი
სახელწოდება ინგლისურ ენაზე (არსებობის შემთხვევაში)	
სექტორი	საჯარო
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება
2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ქ. ბაღდათი, კახიანის ქ. N41
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელი დიმი



(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)	
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი (არსებობის შემთხვევაში)	
3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი) ☒	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი) ☐
4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ	
ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	19/06/2025, N702271
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025 წლის 24-25 ივლისი
5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)	
წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა
6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ	
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული "ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.	

N	პროგრამის სახე ¹	კურიკულუმ(ებ)ის დასახელება	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების მიდგომა (არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)	თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	1.ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“. 2.სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში.“	ქართული		15
					ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐ არ ეთანხმება ☒ (რეკომენდებული რაოდენობა -15)

1. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მამიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

საავტორიზაციო ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ოთხკაციანმა ჯგუფმა, რომელიც შედგებოდა სკოლამდელი განათლების ხარისხის, კურიკულუმის, კვების და სანიტარიულ-ჰიგიენური მიმართულებების სპეციალისტებისგან, შეისწავლა დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან. ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში, სადაც საბავშვო ბაღის ადმინისტრაცია, პედაგოგიური და ტექნიკური პერსონალი, ასევე გაერთიანების წარმომადგენლები აქტიურად თანამშრომლობდნენ ექსპერტებთან. პროცესი ხასიათდებოდა ურთიერთპატივისცემით, კონსტრუქციული კომუნიკაციით და მიზნობრივი თანამშრომლობით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და ჩაატარეს გასაუბრებები როგორც ადმინისტრაციის, ისე გაერთიანების წარმომადგენლებთან. შეფასების პროცესში დაფიქსირდა შეუსაბამო ექსპერტთა ჯგუფის შეფასებებსა და დაწესებულების თვითშეფასებას შორის. ექსპერტებმა დააფიქსირეს ნაკლოვანებები ეზოს ინფრასტრუქტურასა და სველი წერტილების მოწყობაში, ასევე ჯგუფური ოთახების ინვენტარის (მაგიდებისა და სკამების) ზომების შესაბამისობაში ასაკობრივ სტანდარტებთან. ვიზიტისას დაფიქსირდა მიგნებები, რომლებიც შეჯამდა და მიეწოდა დაწესებულებას. შეფასებები ეფუძნებოდა დაკვირვებებს, დოკუმენტაციის ანალიზს,

¹ აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მამიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.



გასაუბრებებსა და მოქმედ კანონმდებლობას. მნიშვნელოვანია, რომ უკუკავშირი ადმინისტრაციის მხრიდან მიღებული და გაზიარებული იქნა, რაც მიუთითებს საერთო ხედვაზე დაწესებულების განვითარებისა და გაუმჯობესების მიმართულებით.

2. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

3. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

4. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	დაწესებულების თვითშეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.1. დაწესებულების მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა² (სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა) (1.ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“. 2.სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში.“)		
2. კურიკულუმი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

² ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე



2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



4.3. მატერიალური რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.7. ფინანსური რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

- 1.1. დაწესებულების მისია
- 1.2. სტრატეგიული განვითარება
- 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
- 2.2. კურიკულუმის განხორციელება
- 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
- 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
- 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
- 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
- 4.2. პროცესების მართვა
- 4.3. მატერიალური რესურსი
- 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
- 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
- 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
- 4.7. ფინანსური რესურსი



1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მამდიებელს წარმოდგენილი აქვს მისია, რომელიც შემდეგნაირად ჟღერს: ა.(ა).ი.პ. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების მისიაა აღსაზრდელის ჰოლისტური განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა, მის კეთილდღეობაზე ზრუნვა, უსაფრთხო, თანამშრომლობითი და ინკლუზიური გარემოს ფორმირება.“

წარმოდგენილ მისიაში იკვეთება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე აქცენტი და დაწესებულების როლი, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სივრცე, არის მიზანზე ორიენტირებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ხედვა და ღირებულებები.

დაწესებულების ხედვა: თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ინკლუზიური, ადაპტირებული სასწავლო გარემო; კვალიფიციური, გადამზადებული საგანმანათლებლო პერსონალი; აღსაზრდელთა მოზიდვა მშობლებთან ეფექტური კომუნიკაციის მეშვეობით; ადგილობრივი თვითმმართველობის, თემისა და ოჯახთან მჭიდრო თანამშრომლობით მუდმივი ზრუნვა დაწესებულების უწყვეტ, სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე, რომელიც ეფუძნება გუნდურობის პრინციპს და ხელს უწყობს მედეგი ბავშვის ჩამოყალიბებას.

დაწესებულების ღირებულებებია:

- აღსაზრდელი - ორიენტირება ბავშვთა უფლებების დაცვაზე, მის საუკეთესო ინტერესებზე;
- მხარდაჭერა - ორიენტაცია მუდმივ განვითარებაზე;
- პროგრამის საყოველთაო ხელმისაწვდომობა;
- არჩევის თავისუფლება;
- გუნდურობა და გამჭირვალობა - ღია და საჯარო მიდგომები;
- სამართლიანობა, თანასწორობა და თანაბარი შესაძლებლობები;
- თანამშრომლობა გარე აქტებთან;
- მაღალი აკადემიური კულტურა, ურთიერთსასარგებლო კავშირები სხვადასხვა ორგანიზაციებთან, მშობლებთან, სკოლასა და თემთან.

ხედვა და ღირებულებები კარგად არის სტრუქტურირებული, გამომდინარეობს მისიიდან ვინაიდან მისია ხაზს უსვამს ბავშვის ჰოლისტიურ განვითარებასა და კეთილდღეობაზე ზრუნვას, ხოლო ხედვა ასახავს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს მიზანი – თანამედროვე, ინკლუზიური და თანამშრომლობითი გარემოს შექმნით. ღირებულებები კი წარმოადგენს იმ პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფს მისიის შესრულებას და ხედვის რეალიზებას, მათ შორის თანასწორობას, გუნდურობასა და გამჭვირვალობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებული დროებითი სამუშაო ჯგუფი შექმნილია 2024 წლის 22 ნოემბრის Nზ36.66243272 ბრძანებით, რომელიც წინ უსწრებს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცებას (2024 წლის 12 დეკემბერი). აღნიშნული გარემოება იწვევს შეუსაბამობას რეგულაციით დადგენილ მოთხოვნებთან, განსაკუთრებით კი სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტების სავალდებულო სტრუქტურასთან დაკავშირებით. შედეგად, იკვეთება განსხვავება რეალურად განხორციელებულ პრაქტიკასა და ბრძანების შინაარსს შორის, ვინაიდან დროებითი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა არ შეესაბამება წესით დადგენილ სტრუქტურულ მოთხოვნებს, რაც წარმოადგენს პროცედურულ ხარვეზს.

დადგენილი წესის მიხედვით, მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება უნდა განხორციელდეს სპეციალური სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში სავალდებულოდ უნდა შედიოდეს:

- გაერთიანების წარმომადგენლები;
- გაერთიანებაში შემავალი ბალების წარმომადგენლები;
- მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი;
- თემის წარმომადგენელი;
- მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/საკონსულტაციო საბჭოს წევრი;
- სხვა კომპეტენტური მოწვეული პირი.

მოცემულია სდხომის ჩანაწერები და ფოტოები, რომლებიც ადასტურებს, რომ პროცესში ჩართულნი იყვნენ გაერთიანებაში შემავალი ბალების მენეჯერები, სხვადასხვა პოზიციის თანამშრომლები, გაერთიანებისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. დამატებით წარმოდგენილია 2023

წლის 8 აგვისტოს ოქმი და 2024 წლის 29 მარტის ჩანაწერი, რომლებიც ასახავს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და განახლების პროცესს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროცესები რეგულაციის მიღებამდე დაიწყო, ინტერვიუებისა და დამატებითი მასალების საფუძველზე დასტურდება სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ფაქტობრივი განხორციელება. სხვადასხვა პერიოდში ჩატარებულ სამუშაოებში მონაწილეობდნენ დაინტერესებული მხარეები, რაც ადასტურებს პროცესის ჩართულობით განხორციელებას. თუმცა, არსებული პროცედურული ხარვეზების გამო, ფაქტობრივი ჩართულობის მიუხედავად **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**.

რეკომენდაცია

მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება განხორციელდეს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით; დაკომპლექტდეს სამუშაო ჯგუფი რეგულაციით განსაზღვრული სავალდებულო სტრუქტურის შესაბამისად და მოხდეს პროცესის დოკუმენტირება (ბრძანება, ოქმები, დასწრების სიები).

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით, სადაც გათვალისწინებულია მისიის, ხედვისა და ღირებულებების დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შემუშავების მიზნით შესაბამის დოკუმენტებში ცვლილებების შეტანა და საჭირო ახალი დოკუმენტების წარმოება. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილად** შესაბამისობით. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**.

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან, რაც დასტურდება შემდეგით:

- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ჩანაწერები, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ბაგა-ბაღების მენეჯერები, მუნიციპალიტეტის მოწვეული სპეციალისტი და მეთოდ კაბინეტის ხელმძღვანელი;
- მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაცნობის ამსახველი ფოტო-მასალა დაინტერესებულ მხარეებთან;
- ინფორმაციის გამოქვეყნება გაერთიანების ოფიციალურ სოციალურ ქსელში;

- ვიზუალური მასალის გამოფენა შენობაში.

საჯარო ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია როგორც ფიზიკურ სივრცეში (საბავშვო ბაღის შენობაში გამოკრული), ისე ციფრულ სივრცეში (ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნებული).

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი;
2. ა.(ა).ი.პ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 12 დეკემბრის №36 6624347001 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი;
3. ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებული დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ 2024 წლის 22 ნოემბრის ბრძანება №36.66243272;
4. მისია, ხედვა ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების შესახებ ჩანაწერები;
5. ფოტო-მასალა;
6. სამუშაო ჯგუფის სხდომის ჩანაწერები;
7. სოციალური ქსელის სკრინი;
8. ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:			
1.1. დაწესებულების მისია			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილია ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 12 დეკემბრის №36 6624347001 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი. წესში განსაზღვრული მეთოდოლოგია მოიცავს როგორც სტრატეგიული, ისე სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების ფორმებსა და პერიოდულობას. კონკრეტულად, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ორჯერ: შუალედურ პერიოდში (2,5 წლის შემდეგ) და ბოლოს. საბოლოო შეფასება კეთდება სტრატეგიის დასრულებამდე არაუგვიანეს 3 თვისა. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხდება კვარტლურად, ხოლო შეფასება — სასწავლო წლის ბოლოს. გეგმების შეფასებასა და მონიტორინგს კოორდინაციას უწევს სტრატეგიული მეთოდოლოგიის შესაბამისად შექმნილი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. მონიტორინგის მექანიზმად გათვალისწინებულია ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. მონიტორინგის პროცესში პასუხისმგებელი პირების მიერ წარმოდგენილი წერილობითი ანგარიშები გადაეცემა სამუშაო ჯგუფს ანალიზისა და შეფასებისთვის. დოკუმენტში გათვალისწინებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობა: გაერთიანების წარმომადგენლები, გაერთიანებაში შემავალი ბაღების წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი, თემის წარმომადგენელი, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი და საკონსულტაციო საბჭოს წევრი. შესაბამისად, იდენტიფიცირებულია ჩართული ჯგუფები და გაწერილია მათი ჩართულობის გზები, როგორცაა სამუშაო ჯგუფის შექმნა, ჯგუფის მონაწილეობა სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების ეტაპებში და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის — ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 15 აპრილის ბრძანებით (N836.6625105001). სტრატეგიული გეგმა ხუთწლიანია (2025–2030 წწ.) და შემუშავებულია იმავე გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 12 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესიდან გამომდინარე. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური, რაც დადასტურებულია დოკუმენტში ჩამოთვლილი პროცედურით, რომლის მიხედვითაც ახალი გეგმის შემუშავება იწყება მოქმედი გეგმის ვადის დასრულებამდე არაუგვიანეს სამი თვით ადრე. სტრატეგიული გეგმა შესაბამისობაშია დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებებთან და მოიცავს მისიასთან თავსებად სტრატეგიულ მიზნებსა და თითოეული მიზნის შესაბამის ამოცანებს. დაწესებულების მისიაა: „აღსაზრდელის ჰოლისტური განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა, მის კეთილდღეობაზე ზრუნვა, უსაფრთხო, თანამშრომლობითი და ინკლუზიური გარემოს ფორმირება“. ხოლო, სტრატეგიული მიზნები — მათ შორის კურიკულუმის დანერგვა-განხორციელება, უსაფრთხოება, ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობა, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ხელშეწყობა, აღმზრდელებისა და თანამშრომლების გადამზადება, მხატვრული და მეთოდური ლიტერატურის, მეთოდური და თვალსაჩინო მასალების, სათამაშოების შეძენა და სხვა — სრულად შეესაბამება მისიის, ხედვისა და ღირებულებების შინაარსობრივ ხაზს და ასახავს ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის — ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 15 აპრილის ბრძანებით (N836.66251051001). სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ერთი და იმავე ბრძანებით არის დამტკიცებული, თუმცა შინაარსობრივად ცალსახად იკვეთება, რომ სამოქმედო გეგმა ეფუძნება 2025–2030 წლების სტრატეგიულ გეგმას, რაც უზრუნველყოფს მიზნებს შორის შინაარსობრივ თანხვედრასა და გრძელვადიანი მიმართულებების ეტაპობრივ შესრულებას. სამოქმედო გეგმა შეიქმნა იმავე გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 12 დეკემბრის ბრძანებით (N836.6624347001) დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის შესაბამისად, რაც პროცესს ანიჭებს სისტემურობას და დოკუმენტს განსაზღვრულ ჩარჩოში აქცევს. გეგმა ერთწლიანია და მორგებულია კალენდარულ წელს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს დაგეგმვისა და შესრულების სინქრონულობას.

მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესით გათვალისწინებულია ერთწლიანი გეგმის დაწესებულების თვითშეფასების შედეგებზე დაყრდნობით შემუშავება, აღნიშნული თვითშეფასების დოკუმენტი ამ ეტაპზე წარმოდგენილი არ არის. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული წესი დამტკიცებულია 2024 წლის 12 დეკემბერს, რის გამოც მისი მოთხოვნის შესრულება, კერძოდ, წლიური გეგმის თვითშეფასებაზე დაყრდნობით შემუშავება – აღნიშნულ ეტაპზე ობიექტურად ვერ ხერხდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შეიცავს ყველა აუცილებელ ელემენტს და სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. გეგმა მოიცავს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, რომელთა შესაბამისი აქტივობები დეტალურად არის გაწერილი. ერთწლიან გეგმაში განსაზღვრულია რამდენიმე სტრატეგიული მიზანი: ფიზიკური გარემოსა და ინფრასტრუქტურის მოწყობა, საგანმანათლებლო გარემო და რესურსი, ოჯახი და თემი, უსაფრთხოება, კურიკულუმის დანერგვა-განხორციელება. თითოეული მიზნისთვის გაწერილია შესაბამისი ამოცანები და აქტივობები, როგორცაა: ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო მატერიალური რესურსით აღჭურვა და ადამიანური რესურსის გამოყენება, ტრენინგების ორგანიზება, თანამშრომელთა ჩართულობის უზრუნველყოფა, საჭირო რესურსის შეძენა და სხვა. აქტივობები შეთანხმებულია სტრატეგიულ მიმართულებებთან და თემატურად ეხმიანება განსაზღვრულ მიზნებს. დოკუმენტში წარმოდგენილია თითოეული აქტივობის შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რომლებიც როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ სახეს ატარებს. ასევე განსაზღვრულია რეალისტური ვადები თვეების ჭრილში, აქტივობების მიხედვით ძირითადად განსაზღვრულია სასწავლო წლის პერიოდი. ადამიანური რესურსის მობილიზება, ტრენინგების ჩატარება და სხვა აქტივობების ორგანიზება ამ პერიოდში რეალისტურია, ასევე მნიშვნელოვანია, რომ ერთწლიანი გეგმის შესრულების შეფასება ხდება სასწავლო წლის ბოლოს, რაც ხელს უწყობს გეგმების შემდგომ უფრო ეფექტიანად ჩამოყალიბებას. აღნიშნული აჩვენებს პროცესების თანმიმდევრულ და მოსალოდნელ მიმდინარეობას. გეგმაში დეტალურად მითითებულია პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები თითოეულ აქტივობაზე, რაც ხელს უწყობს პროცესის გამჭვირვალე მართვასა და ანგარიშვალდებულებას. ასევე მოცემულია შესაბამისი მატერიალური რესურსები მატერიალური ნაწილის კუთხით წარმოდგენილ გეგმასთან მიმართებაში. დამატებით, დოკუმენტი მოიცავს აქტივობების შესრულების სტატუსს და შენიშვნებს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს გეგმაში ჩადებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების ეფექტიანობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების ცალკეული მექანიზმები, რომლებიც ასახულია ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების მიერ 2024 წლის 12 დეკემბრის №36.6624347001 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესში. აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება. კერძოდ, მექანიზმში გათვალისწინებულია მონიტორინგი, სტრატეგიის მოქმედების შუალედურ (2.5 წლის) და საბოლოო ეტაპებზე, რაც მიზნად ისახავს შედეგების ანალიზს, საჭიროებების დაზუსტებასა და სტრატეგიაში კორექტირების შესაძლებლობის შექმნას. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი წინამდებარე წესის შესაბამისად უნდა განხორციელდეს კვარტლურად, ხოლო შეფასება – წლიურად, რაც მიაღწევს პროცესის უწყვეტობაზე და უზრუნველყოფს გეგმის განხორციელების მიმდინარეობის შეფასების შესაძლებლობას. დამკვიდრებული პროცედურის თანახმად, მონიტორინგი გულისხმობს მონაცემთა შეგროვებას აქტივობების შესრულების სტატუსის მიხედვით, ხოლო შეფასება – მონაცემების ანალიზს, მათი საფუძველზე საჭიროებების განსაზღვრასა და გეგმების კორექტირების აუცილებლობის იდენტიფიცირებას. პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, რომელიც ასევე უზრუნველყოფს შეფასების ანგარიშის საფუძველზე ინიცირების წერილების მომზადებას შესაძლო ცვლილებების მიზნით. სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია 2025 წელს და მოცემული ეტაპისთვის მისი შუალედური ან საბოლოო მონიტორინგისა და შეფასების პერიოდი ჯერ არ დამდგარა, რაც ლოგიკურად გამორიცხავს ფაქტობრივი შეფასების დადასტურებას, თუმცა არ ეწინააღმდეგება სტანდარტის მოთხოვნას იქიდან გამომდინარე, რომ დოკუმენტში მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები მკაფიოდ არის გაწერილი და პროცედურულად გათვალისწინებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს წარმოდგენილი 5 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 15 აპრილის №36.6625105001 ბრძანებით. დაწესებულება გეგმავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების ფორმალიზებასა და გააზრებას დადგენილი ვადებისა და ფორმატების შესაბამისად. კერძოდ, სტრატეგიული გეგმის შუალედური შედეგების შეფასება განხორციელდება მოქმედების შუა ეტაპზე (2,5 წლის თავზე), ხოლო სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში მომზადდება ყოველწლიურად წარმოდგენილი ფორმით. ანგარიშები საჯაროდ გავრცელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის მეშვეობით (სოციალური მედია, საჯარო ღონისძიებები, ელექტრონული ბრუნვის სისტემა და სხვა), რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას. სტრატეგიული გეგმის მოქმედების ვადიდან გამომდინარე, მონიტორინგისა და შეფასების შუალედური ან საბოლოო პერიოდი ჯერ არ დამდგარა, რის გამოც ამ ეტაპზე შესაბამისი შედეგები წარმოდგენილი არ არის. მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები გაწერილია და შემდგომი განვითარებისთვის მათი გამოყენების მზაობაც იკვეთება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი;
2. ა.(ა).ი.პ ზაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 12 დეკემბრის №36.6624347001 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი;
3. ა.(ა).ი.პ ზაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 15 აპრილის №36.6625105001 ბრძანება სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
4. 2025-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
5. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
6. სტრატეგიული მეთოდოლოგიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვის სხდომის ჩანაწერები.
7. ფოტო-მასალა.

შეფასება:			
1.2. სტრატეგიული განვითარება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2. კურიკულუმი³

პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

კურიკულუმის დასახელება

³მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“
2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობაში აღწერა.

დაწესებულებამ წარმოადგინა ა. (ა). ი. პ. - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების კურიკულუმის დამტკიცების ბრძანება ბ. 36 .6625024001. თარიღი: 24.01.2025წ. (დანართი N4) და დაკორექტირებული კურიკულუმის დამტკიცების ბრძანება ბ. 36 .66251282. თარიღი: 08.05.2025 (დანართი N2)

დაწესებულებას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასების და განვითარების მარეგულირებელი წესი. (28.01.2025წ. ბრძანება ბ. 36.66250284) რომლითაც განსაზღვრა კურიკულუმის შერჩევის პროცედურა. ამ წესის მე-2 მუხლის მიხედვით კურიკულუმის შერჩევის პროცესის ამსახველი დოკუმენტები/მასალები. ა (ოქმი N 7, ოქმი N8) ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებული დროებით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ორი ბრძანება: ბ. 36. 662322001 თარიღი: 10 02.2023წ. და ბრძანება ბ. 36. 6624 3272 თარიღი: 22/11/2024წ. აღნიშნული ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: გაერთიანების იურისტი, საბავშვო ბაღის მენეჯერები, მეთოდკაბინეტის ხელმძღვანელი, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი. სწორედ ამ სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდა კურიკულუმის შერჩევა. მტკიცებულებად საბავშვო ბაღმა წარმოადგინა ოქმი N7, სადაც დეტალურად აღწერილია კურიკულუმის შერჩევის პროცესი: ის რომ განიხილეს რამოდენიმე მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო: „ყვითელი წიგნი“, ბასკო, ნაბიჯ-ნაბიჯ, თამაში კურიკულუმი 2-5 წლამდე, სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში. გამოითქვა აზრი და ერთხმად შეარჩიეს ჯგუფის წევრებმა, რომ საბავშვო ბაღა-ბაღმა იხელმძღვანელოს აღნიშნული კურიკულუმით.

საგანმანათლებლო პერსონალის ინტერვიუებში ვლინდება პროცესის სრული მიდინარეობის აღწერა, კურიკულუმის შერჩევის/გაზიარების /შეფასების შესახებ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ასახავს რომ კურიკულუმი, რომლითაც ხელმძღვანელობს დაწესებულება ადრეული განათლების კურიკულუმი “ თამაში “ და სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში წინასწარ არის შერჩეული.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა



.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს შერჩეული კურიკულუმი: 1.ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“. 2.სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. აღნიშნული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას, რაც ვლინდება კურიკულუმის მეთოდოლოგიაში. პროცესი მოიაზრებს განვითარების ხუთივე სფეროსა (მოტორული,სოციალურ-ემოციური, ენობრივ - კომუნიკაციური, შემეცნებითი, ადაპტური) და სამივე მიმართულებაში (ხელოვნებას, წიგნიერება,მეცნიერება) ბავშვების განვითარების მხარდაჭერას. კერძოდ მოიცავს დაგეგმილი თუ დაუგეგმავი სიტუაციების აღწერას, თამაშებს,რუტინას, ურთიერთობებს და სხვა. მიდგომები სრულად ეფუძნება პროგრამის სახელმწიფო სტანდარტს, რაც ბავშვისთვის განმავითარებელ, უსაფრთხო, პოზიტიურ და ხარისხიან საგანმანათლებლო გარემოს შექმნას გულისხმობს და ითვალისწინებს სტანდარტის ისეთ მიმართულებებსაც, როგორიცაა – ოჯახის და თემის მონაწილეობა, კულტურული მრავალფეროვნება და ინკლუზია, მართვა და შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
რჩევა
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა) „ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ ეფუძნება თამაშს, წარმოადგენს როგორც ზოგად, ასევე კონკრეტულ მითითებებს, ცოდნას, გამოცდილებას, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ადრეული ასაკის ბავშვებისთვის განმავითარებელი და სასწავლო გარემოს ორგანიზება და უზრუნველყოფა. კურიკულუმი მოიცავს დაგეგმილ თუ დაუგეგმავ გამოცდილებებს, თამაშებს, რუტინას, ურთიერთობებს. კურიკულუმი ითვალისწინებს ბავშვს როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში, ბავშვი ცნობისმოყვარე, მედეგი და ლაღია. ის ინტერესით იკვლევს, თავისუფლად სვამს კითხვებს, ეძებს ამ კითხვებზე პასუხებს, უმკლავდება გამოწვევებს, თავდაჯერებულია, არ ნებდება წარუმატებელი მცდელობის შემთხვევაში, თავისუფალი და ბედნიერია.

ბ) სასკოლო მზაობის პროგრამა: მასწავლებლის სახელმძღვანელო და აქტივობათა კრებული პირველი და მე-2 ნაწილი - ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს: თანამშრომლობას, აღმოჩენას, მოტივაციას, არჩევანს, შემოქმედებითობას, ნდივიდუალობას. ხელს უწყობს ბავშვის ფიზიკურ და ემოციურ სიჯანსაღეს, ეხმარება ბავშვს საკუთარი არჩევანის გაკეთებასა და ახალ გამოწვევებთან გამკლავებაში, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბებაში. განუვითარებს ბავშვს მეგობრებსა და ოჯახის წევრებთან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის საჭირო უნარებს. ამზადებს ბავშვს პირველი კლასის მოსწავლის მიმართ არსებული მოლოდინებისა და გამოწვევებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შერჩეული აქვს კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“, სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“, რომლითაც ხელმძღვანელობს. აღნიშნული კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას ბავშვის ცხოვრებაში. უზრუნველყოფს მშობლებთან რეგულარულ შეხვედრებს, ცნობიერების ამაღლებას ადრეული განათლების მნიშვნელობასა და სწავლაზე. კურიკულუმი ითვალისწინებს თემის რესურსების გამოყენებას საგანმანათლებლო პროცესში, მათი გამოცდილების გაზიარებას, ჩართულობას ბავშვის ცხოვრებაში და პოზიტიური ურთიერთკავშირის ჩამოყალიბებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დიდის საბავშვო ბაღს აქვს შერჩეული კურიკულუმი: 1. „ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“. 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“, რომლითაც ხელმძღვანელობს. აღნიშნული კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს, რაც ვლინდება კურიკულუმის შინაარსში. ბავშვები სწავლობენ ყველა სიტუაციაში, როგორცაა გადასვლები სივრცესა და თამაშებში, ბაღში წასვლა-მოსვლა, სადილი და სხვა რუტინული საქმიანობები.

კურიკულუმი აგრეთვე ითვალისწინებს თამაშის, აქტივობების, გამოცდილების მრავალფეროვნებას, საუბრი, აზრის გამოთქმა, მოსმენა, წიგნებთან ურთიერთობა, დაკვირვება, დათვალიერება, კვლევის, ექსპერიმენტების, გამოგონების, შექმნის, მრავალფეროვანი მასალების გამოყენების შესაძლებლობას სხვადასხვა ასაკისა და განვითარების მქონე ბავშვებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა) ი.პ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებულ „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასების და განვითარების მარეგულირებელ წესში“-(ბრძანება: ბ.36.66250284 თარიღი: 28.01.2025წ.) იკითხება კურიკულუმის გაზიარება დაწესებულების პერსონალთან,მშობელთან,თემთან/მუნიციპალიტეტთან.

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი: „ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ გაზიარებულია მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, ბალის საგანმანათლებლო პერსონალთან.

აღნიშნული დასტურდება დიშის საბავშვო ბაგა-ბაღში არსებული კურიკულუმის გაზიარების ოქმი N -8, სადაც დაწესებულების მენეჯერი აღნიშნავს ,თუ რამდენად მნიშვნელოვანია დაინტერესებულ მხარეებთან კურიკულუმის გაზიარება. ოქმში აღწერილი პროცესი ინტერვიუსას დაადასტურა დაწესებულების მენეჯერმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შერჩევის, შექმნის, გაზიარების და შეფასების მარეგულირებელი წესი-ბრძანება : ბ.36.66250284 თარიღი: 28.01.2025წ.
- ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებული დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება ბ 36. 66243272 თარიღი : 22/11/2024წ.
- კურიკულუმის დამტკიცების ბრძანება ბ36.6625024001 თარიღი: 24.01.2025წ. (დანართი N4) დაკორექტირებული კურიკულუმის დამტკიცების ბრძანება ბ 36. 66251282 თარიღი: 08.05.2025წ. დანართი N2
- კურიკულუმის გაზიარების ოქმი N7, ოქმი N 8
- აღსაზრდელოთა მშობელთან საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბრძანება ბ36. 66251145 თარიღი : 24.04.2025წ. დანართი N 24
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დიმის საბავშვო ბაგა-ბაღმა წარმოადგინა ა(ა) ი.პ. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული „ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების შეუფერხებლად მიწოდების წესი“ (ბრძანება ბ36. 6625092001 თარიღი : 02.04.2025წ) ,რომელშიც გაწერილი პერიოდულობა და ხანგრძლივობა შემდეგნაირია: მოკლევადიანი (ერთკვირიანი) გეგმები, გრძელვადიანი (წლიური) გეგმები.

დაწესებულებას აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, მოკლევადიანი (ერთკვირიანი) და გრძელვადიანი (წლიური) გეგმები, რაც შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგძლივობას.

ა(ა) ი.პ. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებულ წესში მითითებულია, რომ საგანმანათლებლო პროცესის პერიოდულობის და ხანგძლივობის ფორმების დამტკიცება ხდება გაერთიანების დირექტორის მიერ.

დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმების დამტკიცების ბრძანება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს და უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად შესრულება. კერძოდ, ამავე წესით განსაზღვრული გრძელვადიანი (წლიური) და მოკლევადიანი (ერთკვირიანი) გეგმების ფორმები დამტკიცებული უნდა იყოს ა(ა) ი. პ. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ ბრძანებით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის პერიოდზე. კერძოდ „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის,“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულება უზრუნველყოფს გრძელვადიანი (წლიური) და მოკლევადიანი (ერთკვირიანი) გეგმების ფორმების დამტკიცებას გაერთიანების დირექტორის მიერ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება შეიცვალა **მეტწილად** შესაბამისობით. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია, რაც დასტურდება ა.ა). იპ. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის, შეფასების და რესურსების უზრუნველყოფის წესით.“ (ბრძანება: ბ.36. 6625092001 თარიღი : 02.04.2025წ) წესში გაწერილი პროცედურები



ფიქსირდება აღმზრდელის მიერ გაწერილ გეგმის ფორმაში. გრძელვადიანი გეგმა იქმნება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. ინტერვიუს დროს გაერთიანების დირექტორმა აღნიშნა, რომ ცალკე გრძელვადიანი გეგმის შექმნაზე სამუშაო ჯგუფი არ არის. არის მხოლოდ „ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებული დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელიც ასევე განიხილავს და შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროცესის პერიოდულობის და ხანგრძლივობასთან დაკავშირებულ საკითხებს. მოკლევადიანი გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან.

ვიზიტის დროს წარმოდგენილი გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების ფორმები ცხადყოფს, რომ პროცესი გაწერილი წესის შესაბამისად მომდინარეობს. პერსონალთან ინტერვიუთი ვლინდება აღმზრდელის, აღმზრდელის შემცვლელის, მუსიკის მასწავლებლის ჩართულობა გეგმების შემუშავებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია გაერთიანებამ დირექტორის ბრძანებით შექმნას გრძელვადიანი გეგმაზე მომუშავე ცალკე სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იქნებოდნენ: საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და დაწესებულების (ბაღის) მენეჯერი. „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსების შეუფერხებლად მიწოდების წესის შესაბამისად“. მუხლი : N3 (3 ქვეპუნქტი).

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა.ა). იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის, შეფასების და რესურსების უზრუნველყოფის წესი“ (ბ.36. 6625092001, 02.04.2025წ) განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შემდეგი დოკუმენტაციის წარმოებას:

1. დღის განრიგი
2. აღმზრდელის პორტფოლიო

3. სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო

4. ბავშვის ინდივიდუალური პორტფოლიო

დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელშიც იკითხება ჯგუფის საჭიროებები, რაც ვლინდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩანაწერებში, გეგმებში (დღის, კვირის). მოკლევადიან გეგმის ფორმაში (შაბლონი) იკითხება რეფლექსიის გრაფა, რომელსაც საჭიროებებზე დაკვირვების და ინდივიდუალიზაციისთვის გამოიყენებენ, აღნიშნული დასტურდება ინტერვიუთი აღმზრდელთან. საგანმანათლებლო პროცესში შექმნილი დოკუმენტაცია, ასევე ასახავს ჯგუფის ინტერესებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია:

- დღის განრიგი
- აღმზრდელის პორტფოლიო
- სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო
- ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები

შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს . მოკლევადიანი გეგმების ფორმები მოიცავს შემდეგ ასპექტებს: ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს, ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებს, თამაშზე ორიენტირებულ პროცესს, სხვადასხვა თამაშზე ორიენტირებას, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობას, ბავშვის მიერ ინიცირებულ აქტივობებს .არსებული თანხვედრაშია ა(ა) ი.პ. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებულ „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ,შეფასებისა და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესთან.“ (ბრძანება ბ 36. 6625092001, 04.2025წ.) მე-4 მუხლი, ინდივიდუალიზაციის ასპექტი. კერძოდ მოკლევადიან გეგმებში ინდივიდუალიზაციის შეტანა/გაწერით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს თამაშით,რაც დასტურდება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმით. დიდი ტრანზიციების წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები . ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლის დროს ბავშვი გამოიყენებს : მუსიკას, ჟესტებს, ვიზუალურ მინიშნებებს. მაგ: ეზოში გაყვანის დროს აჩვენებს ეზოს ფოტოს და გაახმოვანებს ეზოში გასვლის დროს. მცირე ტრანზიციების წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები ,რაც დასტურდება მოკლევადიან გეგმებში თამაში/თამაშის ელემენტების გაწერით და აღმზრდელთან ინტერვიუთი.



აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დღის განრიგი და მოკლევადიანი გეგმები ისეა აწყობილი, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად, როგორც შენობის გარეთ ასევე შიგნით. შიდა და გარე გარემო ბავშვს ფიზიკური მოძრაობის, ბავშვებთან ურთიერთობის, ერთად თამაშის, კვლევის, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოების შესაძლებლობას აძლევს. მაგ: თავისუფალი თამაში ბავშვის/ბავშვების სურვილით, მოძრავი თამაში, წესებიანი თამაში, სამაგიდო თამაში, წარმოსახვითი თამაში, კონსტრუქციული თამაში, კვლევითი თამაში, შემოქმედებითი თამაში, დრამატული თამაში, ბავშვების სურვილის მიხედვით თამაში.

აღნიშნული თამაშის ტიპები დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის შესაბამისია და ასევე დასტურდება აღმზრდელთან ინტერვიუთი. აღმზრდელი აღნიშნავს, რომ აქვს მზაობა და მოტივაცია საგანმანათლებლო პროცესი თამაშის ელემენტებით წარმართოს.

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი „თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში მთლიანად ეფუძვნება თამაშს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა) იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული “საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესი“. (ბრძანება ბ.36. 6625092001 თარიღი: 02.04.2025წ.)

წესში გაწერილი პროცესი უზრუნველყოფს რესურსების მიწოდებას შეუფერხებლად, რაც მდგომარეობს იმაში, რომ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების შეძენა ხორციელდება სატენდერო შესყიდვისა და/ან პირდაპირი შესყიდვის გზით.(ჩანაწერი მექანიზმიდან) საგანმანათლებლო პროცესისათვის საჭირო მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმაციის მიღება და აღნიშნული რესურსების შეძენა ხორციელდება შემდეგი სქემის მიხედვით:

- 1.მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრა/განახლება ბაღების მიხედვით;
- 2.შესაძენი საგანმანათლებლო რესურსის ერთიანი ბაზის ფორმირება ბაღების მიხედვით;
- 3.შესყიდვის შესახებ მოთხოვნის გაგზავნა მუნიციპალიტეტში/ შესყიდვის განხორციელება;
- 4.შემძენილი რესურსის მიღება და აღრიცხვა,შემძენილი საგანმანათლებლო რესურსის განაწილება ბაღების მიხედვით;
- 5.შემძენილი საგანმანათლებლო რესურსის განაწილება ჯგუფებში,ხარჯვის აქტი/ საგანმანათლებლო რესურსის ინვენტარიზაცია (დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდით);

ა(ა) იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ინტერვიუთი ადასტურებს რომ საგანმანათლებლო რესურსების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება მოხდება წელიწადში ერთხელ პერიოდული ინვენტარიზაციის გზით.

ბავშვის/ჯგუფის ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებებისთვის, ასევე კურიკულუმის დაგეგმილი თუ დაუგეგმავი საჭიროებისთვის , საგანმანათლებლო რესურსებისთვის სარგებლობს თავისუფალი განკარგვის ბიუჯეტით.

ასევე, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს რესურსების მოძიების შემდეგ ალტერნატიული გზები:

ა) მოგროვება;

მშობლებისა და პერსონალის მიერ მრავალფეროვანი რესურსის შეგროვება კურიკულუმის შესაბამისად;

ბ) დონაცია;

სხვადასხვა ორგანიზაციების დახმარებით საგანმანათლებლო რესურსის მობილიზება;

გ) დამზადება;

საკუთარი ძალებით, ასევე მშობელთა მონაწილეობით მრავალგვარი მეორადი და ღია მასალებით რესურსის დამზადება. დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფა ხდება წესის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მექანიზმი იძლევა საშუალებას უზრუნველყოს ბაღი რესურსებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ა(ა) იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი მიერ დამტკიცებული „ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად.(ბრძანება ბ 36.6625092001 თარიღი: 02.04.2025წ) დაწესებულებამ წამოადგინა მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი,რომელიც არ არის დამტკიცებული .

საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი ვიზიტის დროს გადამოწმდა და გამოიკვეთა, რომ აღნიშნული ჩამონათვალი ადგილზე სრულყოფილად არ ფიქსირდება. ინვენტარიზაციითა და მიღება/ჩაბარების აქტით არ დასტურდება რესურსების არსებობა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მაგ.არ იკითხება შემდეგი: ქაღალდი 5.მაკრატელი 1ც,2 ბავშვზე. სახატავი საშუალებები (ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, საღებავები, პასტელი) ლოტო, კარტი, მონოპოლი, ველოსიპედი.

თითოეულ ჯგუფზე სახატავი საშუალებები არანაკლებ 3 განსხვავებული ზომის. სხვადასხვა ზომის ფორმის, კუბები არანაკლებ 3. ველოსიპედი არანაკლებ 3 სხვადასხვა ზომის. ჯგუფური მუშაობის რესურსი არანაკლებ 7 განსხვავებული შინაარსის. ემოციების იდენტიფიცირების რესურსი არანაკლებ 2 როლური თამაშები არანაკლებ 4. დიდი ზომის ხის კუბები (ბლოკების) ნაკრები 1. ხის კუბურების ნაკრები 2. ხის და კორპის დაფები 2. ქაღალდი 5. მაკრატელი 1 ც. 2 ბავშვზე. არსებული ჩამონათვალი შერჩეული კურიკულუმის საგანმანათლებლო რესურსების ტიპებთან თანხვედრაშია.

საგანმანათლებლო რესურსი, წიგნების აღრიცხვის/საბავშვო ბიბლიოთეკის აღმწერი დოკუმენტი, რომელიც ადგილზე დათვალერებით გამოიკვეთა არის დაწესებულების ბალანსზე, რაც დასტურდება ბაღის სახელზე არსებული ინვენტარიზაციის დოკუმენტით (2024 წელი დეკემბერი).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად დაწესებულებამ უზრუნველყოს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსის არსებობა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ: მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალის დამტკიცება ა(ა) ი.პ. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ, წესის მუხლი მე-5 -ის შესაბამისად, რომელიც ასახავს საგანმანათლებლო რესურსის მრავალფეროვნებასა და მრავალგვარობას. მოახდინოს რესურსების მუდმივად ხელმისაწვდომობა საგანმანათლებლო პროცესში, კონკრეტულად რაც განსაზღვრული აქვთ ბრძანებით „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების უზრუნველყოფის წესი“. (ბრძანება ბ 36.6625092001)

მნიშვნელოვანია არსებული რესურსის ფლობა იკითხებოდეს ბაღის ინვენტარიზაციის დოკუმენტში სრულყოფილად.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის პერიოდზე. კერძოდ, მოდებდა მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალის დამტკიცება ა(ა) ი.პ. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ. ასევე, არსებული რესურსის ფლობა სრულყოფილად აისახება ბაღის ინვენტარიზაციის დოკუმენტში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება შეიცვალა მეტწილი შესაბამისობით. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს ფიზიკური გარემოს მოწყობის სპეციფიკას შემდეგნაირად, გამომდინარეობს ჯგუფების საჭიროებიდან და გათვალისწინებულია კურიკულუმის მოთხოვნები. დაწესებულებაში არსებული ჯგუფური ოთახების ფიზიკური სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება, რომ სივრცეებზე არის ვიზუალური მინიშნებები და ადვილად აღსაქმელი, რესურსები ბავშვების სიმაღლეზე არის განთავსებული და მარტივად არის ხელმისაწვდომი, ცენტრებისა და მასალების მრავალფეროვნება ბავშვებს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას აძლევს. ავეჯი ხის ფაქტურის არის. არის წიგნიერების, სამაგიდო თამაშების, წყნარ სივრცის, მეცნიერების, ხელოვნების, დრამატული ცენტრები. დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობა კურიკულუმის შესაბამისი არ არის. ეზოში არ არის სხვადასხვაგვარი სივრცეები შესაბამისი ინვენტარით, მეორადი მასალებით და რესურსით, სადაც ბავშვები ადვილად მოახდენენ ორიენტაციას. (არ არის სასრიალოები, საქვიშე, საძრომიალო, საჩრდილობელი, დრამ. ცენტრი დასხვა.)

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა კურიკულუმის შესაბამისად. თამაში უნდა მიმდინარეობდეს როგორც შიდა სივრცეში, ასევე გარეთ. ბაღის ეზო აუცილებლად უნდა მოეწყოს ფუნქციურ სივრცეებად კურიკულუმის გათვალისწინებით, სადაც ბავშვებს საშუალება ექნებათ სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩაერთონ და განვითარდნენ. ეზოში უნდა გვქონდეს შემდეგი ცენტრები: ადგილი მოძრავი თამაშისთვის, საძრომიალო, მეცნარეების ბაღი/ბოსტანი, საქვიშე, დრამატული თამაშების სივრცე, ტალახის სამზარეულო, ქოხი განმარტოებისთვის, სახელოსნო სივრცე. ტალახის სამზარეულოს გვერდით სასურველია იყოს წყლის ონკანი, რათა ბავშვებმა წყლის გამოყენება შეძლონ. გარე სივრცის ფიზიკური გარემო უნდა იყოს ვიზუალურად აქმადი და მარტივად გამოყენებადი.

რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის პერიოდზე. კერძოდ, დაწესებულება უზრუნველყოფს გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობას კურიკულუმის შესაბამისად. ეზოში მოეწყობა ფუნქციური სივრცეები და ცენტრები შესაბამისი ინვენტარით, მეორადი მასალებით და რესურსით. ადგილი მოძრავი თამაშისთვის, საძროძიალო, სასარილო, საქვიშე, საჩრდილობელი, დრამ.ცენტრი და სხვა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება შეიცვალა მეტწილი შესაბამისობით. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმში განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად : რესურსები ლოგიკურად დაწყობილია შესაბამის ცენტრში, რათა ადვილად მოძიებადი იყოს. თაროებზე არის იარაღები, რაც ბავშვებს მიანიშნებს სად რა მასალა და სათამაშო დევს, იარაღიზე გამოსახულია როგორც ნახატი, ასევე დასახელება. ჯგუფურ ოთახებში, დარბაზში არსებული საგანმანათლებლო რესურსი კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება რესურსები ბავშვის სიმაღლეზეა, არის ვიზუალური მინიშნებები, როგორც ნახატი, ასევე დასახელება რაც ადვილად აღსაქმელს ქმნის ბავშვისთვის. დარბაზში იყო : ბატუტი, საქანელა, სასარილო, ,, მუხლუმო ,, გასაძროძი, სარიჩხინო, დაირა, ცელოიდის ბოთლებში ჩაყრილი სხვადასხვა მარცვლეული. დაწესებულების გარე სივრცეში/ეზოში არსებული საგანმანათლებლო რესურსი კურიკულუმის შესაბამისი არ არის. ეზოში მოწყობილი არ არის სხვადასხვაგვარი სივრცეები შესაბამისი ინვენტარით, მეორადი მასალებით და რესურსით. არის მხოლოდ რკინის კონსტრუქციის ,,ვაგონი ,, საქანელა, სენსორული სივრცე, სადაც ოთკუთხედ ყუთში აღინიშნებოდა: სილა, მარცვალგაცლილი სიმინდის ტარო, კენჭები და კროში. გვერდით არის მცირე ზომის საქვიშე, ასევე საბურავებისაგან დამზადებული ჭა, მეორადი რესურსით დამზადებულ მაგიდაზე დევს ძველი ტელევიზორი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ბაღის გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსის ორგანიზება კურიკულუმის შესაბამისი და ბავშვისთვის ხელმისაწვდომი იყოს. ამისათვის, ბაღის ეზო უნდა მოეწყოს ფუნქციურ სივრცეებად კურიკულუმის გათვალისწინებით, სადაც ბავშვებს საშუალება ექნებათ სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩაერთონ და განვითარდნენ. ეზოში უნდა გვქონდეს შემდეგი ცენტრები: ადგილი მოძრავი თამაშისთვის, საძროძიალო, მცენარეების ბაღი/ბოსტანი, საქვიშე, დრამატული თამაშების სივრცე,

ტალახის სამზარეულო, ქოხი განმარტოებისთვის, სახელოსნო სივრცე. ტალახის სამზარეულოს გვერდით სასურველია იყოს წყლის ონკანი, რათა ბავშვებმა წყლის გამოყენება შეძლონ. რესურსი უნდა იყოს ხელმისაწვდომი, ბავშვის ასაკისა და ფიზიკური განვითარების შესაბამისი.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის პერიოდზე. კერძოდ, დაწესებულება უზრუნველყოფს გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობას კურიკულუმის შესაბამისად. ეზოში მოეწყობა ფუნქციური სივრცეები და ცენტრები შესაბამისი ინვენტარით, მეორადი მასალებით და რესურსით. ადგილი მოძრავი თამაშისთვის, საძრომიალო, სასარილო, საქვიშე, საჩრდილობელი, დრამ.ცენტრი და სხვა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება შეიცვალა მეტწილი შესაბამისობით. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ჯგუფური ოთახები მოწყობილია აქტიური და პასიური თამაშებისთვის, მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობებისთვის, დასვენებისა და განმარტოებისთვის, კერძოდ აქტიური (როლური, სენსორული) და პასიური (სამაგიდო), მცირე (3-5) და დიდ ჯგუფურ (მთელ ჯგუფთან ერთად) აქტივობები, ასევე დასვენების (ძილი, კითხვა) და განმარტოების (კარავი).

ა) აქტიური და პასიური თამაშებისთვის, კერძოდ ეს ვლინდება შემდეგში: ოთახი დაყოფილია ცენტრებად, თითოეული ცენტრი აღჭურვილია მრავალფეროვანი და მრავალგვარი მზა და ღია რესურსით. გარემოში წარმოდგენილია ცენტრები, მათემატიკის ცენტრი, დრამატული თამაშების ცენტრი, ხელოვნების ცენტრი, წიგნიერების ცენტრი სადაც ბავშვებს წიგნების დათვალიერების საშუალება აქვთ;

ბ) მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობებისთვის, კერძოდ ეს ვლინდება შემდეგში: ჯგუფში განლაგებულია ბავშვის ზომის მაგიდები, რომლებიც საშუალებას იძლევა როგორც ინდივიდუალურად, ისე 2 - 4 ან მეტი ბავშვის ერთობლივ მუშაობისათვის; ოთახი თემატურ ცენტრებადაა დაყოფილი, და ფართობი იძლევა დიდ ჯგუფებში მუშაობას ისე, რომ ავეჯის გადაადგილება არ არის საჭირო. მუსიკალური დარბაზის სივრცე იძლევა საშუალებას ბავშვები დაკავდნენ სხვადასხვა ფიზიკური თუ შემეცნებითი აქტივობებით.(ბურთი,პიანინო,მუსიკალური მარაკასებით,სარიჩხინოებით, მეორადი მუსიკალური საკრავებით.)



გ) დასვენებისა და განმარტებისთვის, კერძოდ ეს ვლინდება შემდგომში: ყველა ასაკობრივ ჯგუფში არის წყნარი სივრცე გამოყოფილი, ფარდით, ბალიშით, ფაზლით, სადაც ბავშვებს შეუძლიათ არსებულ სივრცეში განმარტება, თამაში (დასტურდება ჯგუფების დათვალიერების ფოტო/მასალით).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი და ა(ა) იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (ბრძანება: ბ.36. 6625092001 მუხლი 8. თარიღი : 02.04.2025წ) განსაზღვრავს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს.

საგანმანათლებლო პერსონალი იყენებს ბავშვზე დაკვირვების შემდეგ მეთოდებს:

ა) ობიექტური დაკვირვება.

საგანმანათლებლო პერსონალი იყენებს ბავშვის შეფასების შემდეგ მეთოდებს:

- ა) ბავშვის შეფასება, რომელიც ივსება ორჯერ (დეკემბერი, ივნისი);
- ბ) ჩეკ-ლისტები - რომელიც მოიცავს ბავშვის განვითარების ხუთ სფეროს.

საგანმანათლებლო პერსონალის მიერ გამოყენებული დაკვირვება და შეფასება თანმიმდევრულია, რაც ვლინდება აღმზრდელის ობიექტურ დაკვირვებაში, რეფლექსიურ ჩანაწერებში, ჩეკლისტებში, ბავშვის შეფასების ფორმაში. აღნიშნული თანხვედრაშია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმის, შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესის“ (ბრძანება ბ.36.6625092001 თარიღი: 02.04.2025წ მუხლი.8) ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდებთან.

დაწესებულებამ წარმოადგინა შემდეგი წესის მიხედვით:

- ა) ობიექტური დაკვირვება.
- ბ) ჩეკ-ლისტები - რომელიც მოიცავს ბავშვის განვითარების ხუთ სფეროს.
- გ) ბავშვის შეფასების ფორმა, რომელიც ივსება ორჯერ (დეკემბერი, ივნისი)

ბავშვის შეფასების და დაკვირვების ფორმები დაწესებულებას წესის შესაბამისად აქვს დამტკიცებული ა(ა) ი.პ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ. წესს თან ახლავს აღნიშნული ფორმები.

(საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმის, შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესი. ბრძანება. ბ 36. 66 25 09 2001. თარიღი: 02.04.2025წ.)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა.ა). იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის, შეფასების და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (ბ.36. 6625092001 თარიღი : 02.04.2025წ) განსაზღვრავს ბავშვის შეფასების მიზნებს:

შეფასება ემსახურება:

- თითოეული ბავშვის ინტერესის გამოვლენას
- თითოეული ბავშვის საჭიროების გამოვლენას
- თითოეული ბავშვის პროგრესის გამოვლენას

შეფასება ემსახურება ბავშვის განვითარების ყველა სფეროს , ითვალისწინებს ბავშვების ინტერესების,შესაძლებლობების,საჭიროებების და განვითარების პროგრესის დანახვას და პერმანენტული, უწყვეტი პროცესია . აღნიშნული დასტურდება, ინტერვიუთი აღმზრდელთან და საგანმანათლებლო პერსონალთან (აღმზრდელი, აღმზრდელის შემცვლელი, მუსიკის მასწავლებელი) . დაწესებულება მოიაზრებს და გამოთქვამს მზაობას განახორციელოს ბავშვის შეფასება აღნიშნული წესის შესაბამისად. („საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის, შეფასების და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი „ ბ.36. 6625092001 თარიღი: 02.04.2025წ.)

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდულიზაციისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა



ა.ა). იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის, შეფასების და რესურსების უზრუნველყოფის წესის“ (ბრძანება: ბ.36. 6625092001 თარიღი : 02.04.2025წ) მუხლი 8. მიხედვით, ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზი და გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება:

- ა) მოკლევადიან გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
- ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
- გ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს;
- დ) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს;

შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის/მოდულიზაციისთვის, რაც ვლინდება მოკლევადიანი გეგმების შედგენა ან /და მის კორექტირებაში ,ინდივიდუალიზაციაში. აღმზრდელმა ინტერვიუსას აღნიშნა ,რომ საგანმანათლებლო პროცესი ყველასათვის ერთნაირი ვერ იქნება .ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები გათვალისწინებული იქნება დღის გეგმაში. დაკვირვებით მიღებული ინფორმაცია კი დაეხმარება სათანადო გადაწყვეტილების მიღებაში ,რაც გულისხმობს ბავშვებისათვის დღის საქმიანობების დაგეგმვას და მათი პროგრესის შეფასებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ბავშვების შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას, კერძოდ



ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან.

ბავშვის შეფასების პროცესში ჩართულია ოჯახი, რაც დასტურდება, როგორც ინტერვიუთი აღმზრდელთან, ასევე ა.ა). იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესით“ (ბრძანება ზ36.6625092001 თარიღი: 02.04.2025წ .) მე-8 მუხლი, ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდების, მე-5 ნაწილით დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს: „გ“პუნქტით „ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში. აღნიშნული ცხადყოფს, რომ პროცესი გაწერილი წესის შესაბამისად მიმდინარეობს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები
2. .1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმი. ბრძანება ზ36.6625092001 თარიღი : 02.04.2025წ.
3. დღის განრიგი;
4. კურიკულუმის მიზნების შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფის დოკუმენტაცია; მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის სანიმუშო ჩამონათვალი.
5. წიგნების აღრიცხვის ჟურნალი/საბავშვო ბიბლიოთეკის აღმწერი დოკუმენტი.
6. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/მიღება-ჩაბარების აქტები. 2024 /2025წ.
7. ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები;
8. აღმზრდელის პორტფოლიო (დღის განრიგი, კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმები, ინდ. გეგმები, რეფლექსიური ჩანაწერები.
9. ფოტო-მასალები.

შეფასება:

2.2. კურიკულუმის განხორციელება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა შემდეგნაირად: ხარისხის ციკლის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, გადახედვა/გაუმჯობესების მიხედვით, რაც დასტურდება ა. (ა). იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესით.“ (ბრძანება. ბ. 36.66250284 თარიღი: 28.01.2025წ.) სადაც აღწერილია, რომ კურიკულუმის შეფასება უნდა განხორციელდეს 2.5 წელიწადში ერთხელ. კურიკულუმის შეფასებისთვის გაერთიანების დირექტორის ბრძანებით შეიქმნება სამუშაო ჯგუფი „კურიკულუმის შეფასებას“ გააკეთებს გაერთიანების მეთოდკაბინეტის ხელმძღვანელი წესში გაწერილი პროცედურის შესაბამისად.

კურიკულუმის შეფასება ეფუძნება :

- ა) საგანმანათლებლო პროცესის შეფასება .
- ბ) ფიზიკური გარემოს შეფასება
- გ) მშობლების უკუკავშირს
- დ) პერსონალის თვითრეფლექსიას

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა.(ა). იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის, შექმნის, გაზიარების და შეფასების წესის“ (ბრძანება: ბ.36. 66250284 თარიღი: 28.01.2025წ.) მე-5 მუხლის მიხედვით დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს. კურიკულუმის შეფასების მიზანია დაწესებულებამ დაადგინოს, რამდენად ეფექტიანად იწერება კურიკულუმის სხვადასხვა კომპონენტი და რამდენად მიიღწევა კურიკულუმით განსაზღვრული მიზნები. კურიკულუმის შეფასება განხორციელდება 2 წელიწადში ერთხელ. გაერთიანების დირექტორთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასების შედეგების გაანალიზების შემდეგ მომავალში თუ ამის საჭიროება იქნება განახორციელოს წერტილოვანი ცვლილებები კურიკულუმში.

1. კურიკულუმში ცვლილებების განხორციელების საფუძველია კურიკულუმის შეფასების საფუძველზე გაკეთებული მიგნებები ან /და რეკომენდაციები.

2. კურიკულუმში განხორციელებული ცვლილებები შესაძლებელია იყოს მაშტაბური ხასიათის ან წერტილოვანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასების და განვითარების მარეგულირებელი წესი . ბრძანება ბ. 36.662502284 თარიღი: 28.01.2025წ
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:			
2.3.კურიკულუმის შეფასება და განვითარება			
შესაბამება ☒	მეტწილად შესაბამება ☐	ნაწილობრივ შესაბამება ☐	არ შესაბამება ☐

3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია ა. (ა). ი. პ. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 21 იანვრის Nბ.36 66350284 ბრძანებით დამტკიცებული. მეთოდოლოგიაში იკითხება, რომ დაწესებულება წინასწარ გეგმავს აქტივობებს .

ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა ა.(ა).ი.პ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 24 აპრილის №36.66251145 ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმა, რომელიც მოიცავს თემთან და მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან თანამშრომლობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულება წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება წახალისებს თემის ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში, რაც ვლინდება ბაღის მიერ დაგეგმილი აქტივობებში.

ჩართულობა ეხება დაწესებულების შიგნით და მის გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებს. აღნიშნული დასტურდება აღმზრდელთან ინტერვიუთი და ბაღის საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესით. ა.(ა).ი.პ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 24 აპრილის №36.66251145 ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დიმის საბავშვო ბაგა-ბაღს იდენტიფიცირებული აქვს კომუნიკაციის მეთოდები და არხები ა(ა) იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული „ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის მიხედვით. (ბრძანება ბ.36.66250286. თარიღი 28.01.2025წ). დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს , რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საკომუნიკაციო გეგმით, სადაც შერჩეული არხები არის თემის საჭიროებებზე მორგებული და მრავალფეროვანი (პირისპირ შეხვედრები, სატელეფონო ზარები , მოკლე ტექსტური შეტყობინება , სოც.გვერდი, საინფორმაციო დაფა). ამით უნდა დაეხმაროს ოჯახებს ბაღთან ურთიერთობის დამყარებაში .

დაწესებულების მენეჯერმა აღნიშნა , რომ შერჩეული საკომუნიკაციო არხები შესაძლოა პერიოდულად შეიცვალოს ბავშვების ახალი ნაკადის შემოდინებასთან ერთად და მათი მშობლებისთვის /კანონიერი წარმომადგენლებისთვის კომუნიკაციის სხვა მეთოდები უფრო კომფორტული და მისაღები აღმოჩნდეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი . ბრძანება ბ 36. 66250286 თარიღი : 28.01.2025წ.
2. აღსაზრდელთა მშობელთან საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ ბრძანება ბ.36. 66 251145 თარიღი : 24.04.2025წ.
3. ინტერვიუს შედეგები.
4. ფოტო-მასალა.

შეფასება:			
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება უზრუნველყოფს ოჯახის ცნობიერების ამაღლებას: ბავშვის უფლებების შესახებ, ადრეული ასაკის ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების შესახებ, რაც დასტურდება ბაღის საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილი აღნიშნული აქტივობებით და აღმზრდელთან ინტერვიუთი.



1. ა. ა) ი.პ. ბაღდათის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება ბ 36. 66250286 თარიღი : 28.01.2025წ. „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი.“
2. აღსაზრდელთა მშობელთან საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ ბრძანება ბ.36. 66 251145 თარიღი : 24.04.2025
აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება აწარმოებს ბავშვების შეფასებას ა(ა) იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის,შეფასების და რესურსების შეუფერხებლად მიწოდების წესის დანართის შესაბამისად . (ბრძანება ბ 36. 6625092001 .თარიღი: 02.04.2025წ.) დაწესებულებას აქვს შეფასების შედეგები: ბავშვის პორტფოლი,ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები.აღმზრდელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ აქვს მზაობა სამომავლოდ უზრუნველყოს შეფასების შედეგების მიწოდება მშობლებთან /კანონიერ წარმომადგენელთან წესის შესაბამისად .(„საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის,შეფასების და რესურსების შეუფერხებლად მიწოდების წესის დანართის შესაბამისად , ბრძანება ბ 36. 6625092001 .თარიღი: 02.04.2025წ.)

1. ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობა.
- 2.ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ინდივიდუალურად.
აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას. აღნიშნული ვლინდება და დასტურდება აღმზრდელის რეფლექსიაში, დღის გეგმაში, აღსაზრდელთა საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილი აქტივობებით. ა (ა) ი.პ. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება ბ.36. 66 251145 თარიღი: 24.04.2025წ. აღსაზრდელთა მშობელთან საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ .

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს, აღნიშნული ვლინდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ა(ა) იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი მიერ დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში.“ (ბრძანება ბ36.66250286 თარიღი : 28.01.2025წ.) მუხლი 6. -- განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა.

კომუნიკაციის მაღალი ხარისხის შენარჩუნებისათვის, სამიზნე აუდიტორიასთან კომუნიკაციის ეფექტიანობის შესაფასებლად, ა(ა) იპ ბაღდათის სკოლამდელი აღზრდის ადა განათლების დაწესებულებათა გაერთიანება იყენებს უკუკავშირის შემდეგ მექანიზმებს:

- ა) კითხვარები;
- ბ) შენიშვნების/წინადადების ყუთი;
- გ) ღია შეხვედრები;

ინტერვიუს დროს ბაღის მენეჯერთან გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში მიმდინარე ყველა პროცესი ხორციელდება ხარისხის ციკლის ეტაპების გავლით. დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, გადახედვა/გაუმჯობესება. ვზრუნავ ოჯახთან/თემთან განხორციელებული თანამშრომლობის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ამისათვის მომავლში ვგეგმავ, რომ ოჯახთან/თემთან თანამშრომლობის შეფასებისათვის დაწესებულებამ უპასუხოს რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვას: შესრულდა თუ არა დაგეგმილი აქტივობები? როგორ შესრულდა? საჭირო გახდა თუ არა ცვლილებების განხორციელება პროცესში? რამდენად ეფექტიანი იყო გეგმა და უზრუნველყო თუ არა მიზნის მიღწევა? როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს თემის რესურსების გამოყენება? რა უკუკავშირი იქნება მიღებული ოჯახიდან/თემიდან და სხვ. მიღებული პასუხების საფუძველზე დაწესებულება გაანალიზებს შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში შეიტანს ცვლილებებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობის გეგმაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი . ბრძანება ბ 36. 66250286 თარიღი : 28.01.2025წ.
2. აღსაზრდელთა მშობელთან საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ ბრძანება ბ.36. 66 251145 თარიღი : 24.04.2025წ.

შეფასება:			
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა⁴

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მამიებლის მიერ წარმოდგენილია ორგანიზაციის სტრუქტურა (ორგანოგრამა), სადაც განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულები და პოზიციები. წარმოდგენილია ასევე ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა

⁴ აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მამიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოდგენილ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 25 დეკემბრის №36.66243603 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიხედვით სამუშაო აღწერილობები მოიცავს ფუნქციურ ვალდებულებებსა და პოზიციებზე ურთიერთჩანაცვლების მექანიზმებს - სამუშაო აღწერილობის დოკუმენტში. დამატებით, წარმოდგენილია 2025 წლის 3 თებერვლის №36.66250346 ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო აღწერილობებიც, თუმცა მათში არ არის გათვალისწინებული პოზიციებს შორის ურთიერთჩანაცვლების მექანიზმი.

პერსონალი მოიცავს როგორც გაერთიანების, ისე ცალკეული დაწესებულებების ბაზაზე დასაქმებულ თანამშრომლებს: აღმზრდელ-პედაგოგებს, აღმზრდელებს, მათი თანაშემწეებს, კვებისა და ჰიგიენაზე პასუხისმგებელ პირებს, ასევე საგანმანათლებლო პროცესის მხარდამჭერ კოორდინატორ-მეთოდისტს, მუსიკის მასწავლებელსა და ექთანს. პრაქტიკოსთა ჯგუფში შედის: აღმზრდელი, მუსიკის აღმზრდელი, ძიძა ხოლო სამეურნეო-სანიტარულ ჰიგიენურ ჯგუფში — ექთანი, მზარეული, ჭურჭლის მრეცხავი, ტექნიკოსი, დამლაგებელი

წარმოდგენილი საშტატო ნუსხა, პოზიციებისა და შესაბამისი ფუნქციების მითითებით ასახავს პროცესების საჭიროებას, თუმცა ინდივიდუალური საჭიროებები სრულად არ არის დაფარული, კერძოდ გაერთიანების ბაზაზე დასაქმებულია ერთი ფსიქოლოგი და ერთი სპეციალური მასწავლებელი. პერსონალის(აღმზრდელის) რაოდენობა(2) არ შეესაბამება კანონით დადგენილ სტანდარტებსა და დაწესებულების მიერ გამოყენებულ ზღვრული რაოდენობის მეთოდოლოგიას — 15 ბავშვისთვის (2 ასაკობრივი ჯგუფი) ჯგუფში მხოლოდ 1 აღმზრდელია(ცვლაში), რაც ეწინააღმდეგება მოქმედ სტანდარტს: 3–6 წლის ასაკში უნდა იყოს 1 აღმზრდელი ყოველ 15 ბავშვზე, ხოლო 2–3 წლის ასაკში — ყოველ 13 ბავშვზე. კადრების არასაკმარისობა ხელს უშლის თითოეული ბავშვის განვითარებაზე მორგებული მხარდაჭერის სისტემის ფორმირებას და ინდიკატორის სრულფასოვნად დაკმაყოფილებას. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

1. დაწესებულებამ უზრუნველყოს ადამიანური რესურსის რაოდენობრივი შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან და ზღვრულ რაოდენობასთან მიმართებით;
2. დაწესებულებამ უზრუნველყოს ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

რჩევა

პერსონალის მართვის დოკუმენტებში და შინაგანაწესში განხორციელდეს ცვლილება ურთიერთჩანაცვლების მექანიზმიშის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით, კერძოდ აღნიშნული გეგმით განსაზღვრული აქტოვობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსი - უზრუნველყოფს დაწესებულების დაკომპლექტებას

პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ორგანიზაციის სტრუქტურა (ორგანოგრამა), სადაც განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულები და პოზიციები, ასევე ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 3 თებერვლის №36.66250346 ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო აღწერილობებით განსაზღვრულია დასაქმებულთა ფუნქციები, სადაც დეტალურად არის გაწერილი, ვინ, როდის და რას აკეთებს, ვისი პასუხისმგებლობის ქვეშ ექცევა შესაბამისი საქმიანობა და ვინ ვისთვის არის ანგარიშვალდებული. შინაგანაწესი არ მოიცავს სამუშაო აღწერილობებს. დაწესებულება ასევე ხელმძღვანელობს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №30 დადგენილებით, რომელიც არეგულირებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებების პერსონალისთვის ქცევის, ეთიკისა და სამსახურებრივი ინსტრუქციების სტანდარტებს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და რეგულაციები ქმნის სტრუქტურირებული და სამართლებრივად გამართული ადამიანური რესურსების მართვის საფუძველს, რაც უზრუნველყოფს ფუნქციათა მკაფიო განაწილებას და თანამშრომლების პასუხისმგებლობის ზომების განსაზღვრას. ღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია შინაგანაწესი განახლდეს ისე, რომ მოიცავდეს თანამშრომელთა ფუნქციურ ვალდებულებებსა და სამუშაო აღწერილობებს. **არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება**

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები რეგულირდება შემდეგი დოკუმენტებით: ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №27 დადგენილება – დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №29 დადგენილება – საჯარო დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები არეგულირებს, როგორც დაწესებულების დირექტორის, ისე საშტატო ნუსხით გათვალისწინებული პოზიციებისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 25 დეკემბრის №36 66243603 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მე-17 მუხლი ითვალისწინებს გაერთიანების ხელმძღვანელის მიერ დამატებითი მოთხოვნების განსაზღვრის შესაძლებლობას. თუმცა, დაწესებულებას არ წარმოუდგენია შესაბამისი ბრძანება. ყველა აღმზრდელს გააჩნია უმაღლესი განათლება, გავლილი აქვს სავალდებულო 66-საათიანი ტრენინგ-მოდული და ფლობს პროფესიულ სერტიფიკატებს; დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები დაკმაყოფილებულია – შესაბამისი დოკუმენტაცია მოთავსებულია პირად საქმეებში; ტექნიკურმა პერსონალს და ექთანს გავლილი აქვს შესაბამისი თემატური ტრენინგები. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მოთხოვნები დაწესებულია მათი დასაქმების შემდგომ პერიოდში. პერსონალი დასაქმებულია სამ წელზე მეტი ვადით, რაც მოქმედი შრომითი ხელშეკრულებების განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებას იწვევს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით გადამზადებული ჰყავს ექთანი და ყველა ასაკობრივ ჯგუფში მომუშავე ორი აღმზრდელიდან ერთ-ერთი, რაც დასტურდება სერტიფიკატებით, თუმცა, საგანმანათლებლო პერსონალს სრულად არ გააჩნია პირველადი გადაუდებელი დახმარების კომპეტენცია, დადასტურებული შესაბამისი გადამზადების შედეგად მიღებული ცნობა/სერთიფიკატით,

რაც გარკვეულ რისკს ქმნის გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

საგანმანათლებლო პერსონალს სრულად ჰქონდეს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია, დადასტურებული შესაბამისი გადამზადების შედეგად მიღებული ცნობა/სერტიფიკატით.

რჩევა

სასურველია ყველა თანამშრომლისთვის ცოდნის გაზიარება პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შესახებ, რათა კრიტიკულ სიტუაციებში ყველა თანამშრომელი მინიმალურ დონეზე მაინც ფლობდეს შესაბამის პრაქტიკულ ცოდნასა და რეაგირების უნარს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით, კერძოდ აღნიშნული გეგმით განსაზღვრული აქტოვობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსი - უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პერსონალს სრულად ჰქონდეს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია, დადასტურებული შესაბამისი გადამზადების შედეგად მიღებული ცნობა/სერტიფიკატით. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მამდიებელს წარმოადგენილი აქვს: ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 25 დეკემბრის №36 66243603 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, სადაც გათვალისწინებულია პერსონალის მართვის პროცედურები; შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ და არეგულირებს შრომითი ურთიერთობის ძირითად საკითხებს, მათ შორის: სამუშაო საათებს და შესვენების დროს (აღმზრდელის არასაკონტაქტო დრო განისაზღვრება 1 საათით), შვებულების პირობებს, შრომის ანაზღაურების წესს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, რაც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებთან. პერსონალის მართვის პროცესი ხორციელდება განსაზღვრული წესების მიხედვით. ორგანოგრამა ასახავს იერარქიას, დაქვემდებარებასა და ანგარიშვალდებულებებს, ხოლო შინაგანაწესი - შრომით ურთიერთობებს. აღნიშნული დოკუმენტაცია განსაზღვრავს ადამიანური რესურსების განვითარების ძირითად მიმართულებებს, როგორცაა: პროფესიული განვითარება, სამუშაოს ხარისხის მართვა, მოტივაციის ამაღლება, ადაპტაციის პროცესები და სხვა. აღნიშნული მარეგულირებელი აქტები გაეცნო

ბადის თანამშრომლებს, რასაც ადასტურებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამუშაო შეხვედრების ჩანაწერები. თუმცა აღსანიშნავია, რომ თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული არ არის, რაც წინააღმდეგობაში მოდის შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს ყველა თანამშრომელთან ხელშეკრულებების გაფორმება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით, კერძოდ აღნიშნული გეგმით განსაზღვრული აქტოვობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსი - უზრუნველყოფს ყველა თანამშრომელთან ხელშეკრულებების გაფორმებას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესი სადაც მოხსენიებულია, რომ აღმზრდელს შესვენების დროის გარდა აქვს 1 არასაკონტაქტო საათი. ამგვარი საათების განაწილება დღის განმავლობაში არარელევანტურია, რაც არ უზრუნველყოფს გონივრულ სამუშაო დაგეგმვას; წარმოდგენილი არ არის მოქმედი შრომით ხელშეკრულებები აღმზრდელებთან. ადგილზე ვიზიტისას წარმოდგენილი იქნა მხოლოდ ერთი აღმზრდელის ხელშეკრულება, დათარიღებული 2022 წლით, რომელიც არ არის შესაბამისობაში. გაირკვა, რომ პრაქტიკაში თანამშრომლებთან ხელშეკრულებები არ იდება რეგულარულად. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ყველა აღმზრდელთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება მოქმედი შრომის კანონმდებლობის შესაბამისად. ხელშეკრულებებში დეტალურად უნდა იყოს გაწერილი სამუშაო დროის სტრუქტურა — მათ შორის საკონტაქტო და არასაკონტაქტო

საათები, ასევე ამ დროის ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობები (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა, მოსამზადებელი სამუშაოები, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა და სხვა).

რჩევა

სასურველია საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების დღის განმავლობაში რეალისტური და მიზნობრივი გადანაწილება, იმის გათვალისწინებით, რომ არასაკონტაქტო საათებში შესაძლებელია განხორციელდეს ინდივიდუალური განვითარების ჩანაწერების მომზადება და განახლება, დოკუმენტების ადმინისტრირება, შიდა შეხვედრებსა და დაგეგმვებში მონაწილეობა, სასწავლო პროცესის წინასწარი დაგეგმვა და რესურსების მომზადება, პროფესიულ გადამზადებასა და თვითგანვითარებაში ჩართულობა და სხვა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით, კერძოდ აღნიშნული გეგმით განსაზღვრული აქტოვობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსი - უზრუნველყოფს ყველა აღმზრდელთან ხელშეკრულებების გაფორმებას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 25 დეკემბრის №36.66243603 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის საფუძველზე, პერსონალის შერჩევის პროცესი ეფუძნება ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. შერჩევის პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები აღწერილია ნათლად და ხელმისაწვდომად ყველა დაინტერესებული პირისთვის. ვაკანტური პოზიციების განაცხადები მომზადებულია სამუშაო აღწერილობაზე დაყრდნობით და შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და მოქმედ კანონმდებლობას. დადგენილია კვალიფიკაციის განმსაზღვრელი საკანონმდებლო აქტები, რაც უზრუნველყოფს კომპეტენტური პერსონალის შერჩევასა და დანიშვნას. თანამშრომლებს კონკრეტულ პოზიციებზე ნიშნავს გაერთიანების დირექტორი. დოკუმენტში გაწერილია პერსონალის დანიშვნის ორი გზა — ღია/დახურული კონკურსი და პირდაპირი დანიშვნა; თუმცა არ არის საკმარისად განსაზღვრული, რა კრიტერიუმით ან გარემოებებით ხდება თითოეული გზის არჩევა, შესაბამისად არ არის უზრუნველყოფილი პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვა. კრიტერიუმების არქონა ქმნის სუბიექტური ან არაერთგვაროვანი პრაქტიკის რისკს, რაც უშუალოდ ზღუდავს პოზიციაზე შესაბამისი კადრების მოზიდვისა და დასაქმების გარანტიას. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში გაიწეროს, რა კრიტერიუმებისა და გარემოებების შემთხვევაში გამოიყენება ღია/დახურული კონკურსი ან პირდაპირი დანიშვნა, რათა უზრუნველყოფილი იყოს პერსონალის შერჩევის ობიექტურობა და პროცესის გამჭვირვალობა.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით, კერძოდ აღნიშნული გეგმით განსაზღვრული აქტოვობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსი - უზრუნველყოფს პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურებში რეკომენდებული კრიტერიუმების განსაზღვრას, რაც შეუსაბამობას სრულად აღმოფხვრის. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 25 დეკემბრის №36 66243603 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის მექანიზმი, რაც მთლიანობაში შეესაბამება თანამშრომელზე ორიენტირებული მართვის პრინციპებს. დოკუმენტი მოიცავს თანამშრომლის ინფორმირებას მისი, ხედვის, სტრუქტურისა და სამუშაო გარემოს შესახებ, რაც უზრუნველყოფს მისი პროფესიული ადაპტაციის მხარდაჭერას დასაწყის ეტაპზე. ასევე პოზიტიურადაა შეფასებული მენტორინგისა და კონსულტაციის კომპონენტის არსებობა. ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ უზრუნველყოფილია ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

.....

.....

სასურველია შემუშავდეს ინტეგრაციის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ფორმატები, რაც თანამშრომლის ადაპტაციის ხარისხის შეფასებისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტია. უკუკავშირის ფორმები, შეფასების ვადები და სხვა.



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების მართვისთვის შემუშავებული სხვადასხვა წესის შინაარსი ორიენტირებულია თანამშრომლობითი და გუნდური სამუშაო გარემოს ჩამოყალიბებაზე. პერსონალი აქტიურად არის ჩართული როგორც კურიკულუმის შერჩევაში, ასევე მის საფუძველზე გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში. თანამშრომლები მონაწილეობენ დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების ფორმირებაში, ასევე შენობა-ნაგებობების მოვლა-პატრონობასა და საგანმანათლებლო რესურსების შერჩევაში, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვასა და კვებით უზრუნველყოფის პროცესებში. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №30 დადგენილებით დამტკიცებული სამსახურებრივი ინსტრუქციები და ქცევის/ეთიკის ნორმები განსაზღვრავს თანამშრომელთა შორის ურთიერთობის ძირითად პრინციპებს — ერთობლივ მუშაობას, თანამშრომელთა პოზიტიური ინიციატივების მხარდაჭერასა და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას. ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა.ა.ი.პ. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 25 დეკემბრის №36.66243603 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და 2025 წლის 28 აპრილის №36.6625118001 ბრძანებით დამტკიცებული პროცესების აღმწერები არეგულირებს პროფესიული განვითარების პროცესს, რომელიც მოიცავს პერსონალის საქმიანობის შეფასებას, საჭიროებების იდენტიფიკაციას, განვითარების დაგეგმვასა და განხორციელებას. პროცესში გათვალისწინებულია პროფესიული უნარების შეფასება, ტრენინგების დაგეგმვა, მოტივაციისა და წახალისების მექანიზმების გამოყენება, შეფასებისა და მონიტორინგის ინსტრუმენტების დანერგვა და მიღებული შედეგების კორექტირება. პროცესების აღმწერი დოკუმენტის მიხედვით, პასუხისმგებელი პირი შეფასების განხორციელებისთვის ხარისხის მართვის მენეჯერი უნდა იყოს, თუმცა აღნიშნული პოზიცია ფაქტობრივად არ არის გათვალისწინებული სტრუქტურაში. ასევე, პროფესიული საქმიანობის შეფასების ფორმა არ მოიცავს საჭიროებების იდენტიფიკაციის კომპონენტს, რაც ზღუდავს შედეგების მიზნობრივი განვითარების დაგეგმვისთვის გამოყენებას. შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ პროცესი ნაწილობრივ დარეგულირებულია და განსაზღვრულია მეთოდები და პასუხისმგებელი პირები, **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

შემუშავდეს პროფესიული საქმიანობის შეფასების ფორმა, რომელიც მოიცავს საჭიროებების იდენტიფიცირების კომპონენტს, რათა შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნას პერსონალის განვითარების მიზნობრივი დაგეგმვისთვის.

რჩევა

.....

.....

არეგულირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით, კერძოდ აღნიშნული გეგმით განსაზღვრული აქტუოვები, პასუხისმგებელი პირები და რესურსი - უზრუნველყოფს პროფესიული საქმიანობის შეფასების ფორმის შემუშავებას, რაც შეუსაბამობას სრულად აღმოფხვრის. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილად** შესაბამისობით. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტრატეგიულ და ერთწლიან გეგმებში ასახულია სამომავლო ამოცანები, მათ შორის პერსონალის პროფესიული განვითარების ეტაპები და საჭიროებები, რაც მიზნად ისახავს პერსონალის მიზნობრივ, თანმიმდევრულ და შედეგზე ორიენტირებულ გაძლიერებას. წარმოდგენილია გადამზადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია — მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულებები, სერტიფიკატები და სხვა. (მათ შორის აღმზრდელთა სავალდებულო გადამაზადება) თუმცა, არ არის შექმნილი პერსონალის განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირების დოკუმენტურად შემუშავებული ფორმა, ასევე არ არსებობს ამ საჭიროებების საფუძველზე შედგენილი პერსონალის განვითარების გეგმა. შედეგად, პროცესი ვერ უზრუნველყოფს მიზნობრივ, წინასწარ დაგეგმილ და თანმიმდევრულ პროფესიულ განვითარებას. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისი მექანიზმის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის განვითარების საჭიროებების სისტემატურ იდენტიფიკაციას და მის საფუძველზე განვითარების გეგმის შემუშავებას.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით, კერძოდ აღნიშნული გეგმით განსაზღვრული აქტოვობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსი - უზრუნველყოფს შესაბამისი მექანიზმის დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის განვითარების საჭიროებების იდენტიფიკაციას და მის საფუძველზე განვითარების გეგმის შემუშავებას, რაც შეუსაბამობას სრულად აღმოფხვრის. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილად შესაბამისობით. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 25 დეკემბრის №36.66243603 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-15 მუხლის შესაბამისად, დაწესებულებაში უზრუნველყოფილია პერსონალის ინიციატივების წახალისების მექანიზმი, რაც ხელს უწყობს თანამშრომელთა მოტივაციას და

აქტიურ მონაწილეობას პროფესიული ზრდის მიმართულებით. ინიციატივა შესაძლოა გამოიკვეთოს საჭიროებების კვლევის ეტაპზე ან სხვა ფორმით, თანამშრომელთა მხრიდან. ინიციატივების მიღებისა და წახალისების მექანიზმი მოიცავს როგორც პირისპირ შეხვედრებს საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, ასევე თანამშრომელთა სტიმულირებას სხვადასხვა ტრენინგ-კურსებში მონაწილეობით. აღნიშნული პროცესის პრაქტიკული განხორციელება დადასტურდა ვიზიტის ფარგლებში თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

შესაძლებელია, თანამშრომლებმა წარადგინონ ინიციატივები ან საჭიროებები ანონიმურად ან სახელობითად; დადგინდეს ინიციატივების კვირეული/თვე; მოხდეს თანამშრომელთა ჩართვა სამუშაო ჯგუფებში, რომლებიც მუშაობენ განვითარების მიმართულებებზე.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა.(ა).ი.პ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 25 დეკემბრის №36.66243603 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
2. ა.(ა).ი.პ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 17 იანვრის №36.66250172 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანწესი;
3. გაერთიანების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N27 დადგენილება;
4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N29 დადგენილება;
5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N30 დადგენილება;
6. ა.(ა).ი.პ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 03 თებერვლის №.6666250346 ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო აღწერილობები;
7. პერსონალის სერტიფიკატები;
8. ასისტენტის და აღმზრდელის ხელშეკრულება.
9. საშტატო ნუსხა;
10. საბავშვო ბაღის ორგანოგრამა;
11. 2025 წლის 28 აპრილის №36.6625118001 ბრძანებით დამტკიცებული პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი;

12. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:			
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.2. პროცესების მართვა

4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მამიებელს იდენტიფიცირებული აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. 2025 წლის 28 აპრილის №36.6625118001 ბრძანებით დამტკიცებული პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტის მე-4 მუხლის მიხედვით, დაწესებულების საქმიანობა დაყოფილია მმართველობითი, ძირითად და დამხმარე პროცესებად. მმართველობით პროცესებში მოქცეულია სტრატეგიული დაგეგმარება და ხარისხის უზრუნველყოფა — რაც მოწმობს, რომ დაწესებულება ფოკუსირებულია როგორც გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრაზე, ასევე შიდა სტანდარტების დაცვაზე. ძირითადი პროცესების ჩამონათვალი მჭიდროდ უკავშირდება სკოლამდელი აღზრდის მიზნებს — მოიცავს როგორც საგანმანათლებლო, ისე ადმინისტრაციულ და მხარდაჭერის სფეროებს, მათ შორის, სსსმ ბავშვებთან მუშაობას, ოჯახებთან და თემთან ურთიერთობას, უსაფრთხოების, კვების და სანიტარიულ-ჰიგიენურ სტანდარტებს. დამხმარე პროცესების თანხვედრა ძირითადებთან ადასტურებს რესურსებისა და პროცესების ინტეგრირებულ მართვას, რაც წარმოადგენს ხარისხიანი გარემოს შენარჩუნების წინაპირობას. მმართველობითი კულტურა ჩამოყალიბებულია, სადაც თითოეული პროცესი განსაზღვრულია ფუნქციური მიზნებით და სტრუქტურით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილია ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანებაში ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯმენტის ჩამოყალიბებული სტრუქტურა, რაც ფორმალურად განმტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 28 აპრილის №36.6625118001 ბრძანებით დამტკიცებული „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმით“. დოკუმენტში აღწერილი ციკლური მიდგომა — „დაგეგმე, განახორციელე, გადახედე, გაუმჯობესე“ სრულად შეესაბამება სისტემური ხარისხის მართვის პრინციპებს (PDCA - Plan, Do, Check, Act). აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს არა მხოლოდ პროცესების გამართულობას, არამედ ქმნის მექანიზმს მათი მუდმივი გაუმჯობესებისთვის. დოკუმენტში ასევე გაწერილია რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი რეაგირების გეგმების შემუშავების მექანიზმი. დოკუმენტს თანდართული პროცესების აღმწერები კი დეტალურად განსაზღვრავს თითოეული პროცესის შინაარსს, პასუხისმგებელ პირებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. თუმცა, მიუხედავად ჩამოყალიბებული სტრუქტურისა და დოკუმენტაციის არსებობისა, პრაქტიკაში ამ ეტაპზე არ არის დანიშნული ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი — პოზიცია, რომელიც მნიშვნელოვანია პროცესების ობიექტური შეფასებისა და მონიტორინგის უზრუნველსაყოფად, რათა პროცესის განმახორციელებელი არ ახორციელებდეს საკუთარი საქმიანობის შეფასებას. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის დანიშვნა.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით, კერძოდ აღნიშნული გეგმით განსაზღვრული აქტოვობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსი - უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის დანიშვნას, რაც შეუსაბამობას სრულად აღმოფხვრის. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილად** შესაბამისობით. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვთა ჩარიცხვისა და ამორიცხვის პროცესი რეგულირდება ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 13 დეკემბრის №ბ.36.6624348001 ბრძანებით დამტკიცებული ბავშვთა ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი წესით. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს პროცესის განხორციელების ფორმალურ ჩარჩოს და უზრუნველყოფს მის სტრუქტურირებულობას. დოკუმენტში დეტალურად გაწერილია ისეთი საჭირო პროცედურები, როგორიცაა: ჩარიცხვისა და ამორიცხვის ეტაპები, რეგისტრაციის გაუქმების პროცედურა, ჯგუფების დაკომპლექტების პრინციპები, სავალდებულო დოკუმენტების ნუსხა, ხელშეკრულების გაფორმების წესი მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან. პროცესი მატერიალური ფორმით, განაცხადების საფუძველზე ხორციელდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის დანერგვა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესს არეგულირებს .ა.(ა).ი.პ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 13 დეკემბრის №ბ.36 6624348001 ბრძანებით დამტკიცებული ბავშვთა ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი წესი, რომელიც განსაზღვრულია ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის შესაბამისი ბრძანებით და განსაზღვრავს ბავშვის ჩარიცხვამდე წარმოსადგენი სავალდებულო

დოკუმენტების ჩამონათვალს, თუმცა, პირადი საქმის წარმოების ცალკე პროცედურა დოკუმენტურად არ არის გაწერილი, რაც ერთგვარად ზღუდავს სტრუქტურირებულობას.

თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოება რეგულირდება 2024 წლის 25 დეკემბრის №36.66243603 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც მოიცავს როგორც იდენტიფიკაციის, ისე საკვალიფიკაციო და შრომით-ადმინისტრაციულ დოკუმენტაციას.

თუმცა, დადგენილი მოთხოვნები სრულად არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას — დოკუმენტში არ არის გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის შესახებ სავალდებულო ცნობა. ასევე, პრაქტიკაში არ ხდება დადგენილი სტრუქტურის დაცვა: რიგ შემთხვევებში პირად საქმეებში არ მოიძებნება სავალდებულო დოკუმენტები, მათ შორის ფოტოსურათი, სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის შესახებ ცნობა, შრომითი ხელშეკრულებები და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ყველა შემთხვევაში არ არის ნოტარიულად დამოწმებული, რაც ეწინააღმდეგება შიდა რეგულაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

გარდა ამისა, პრაქტიკაში იძებნება ისეთი დოკუმენტებიც, რომელთა აღრიცხვა არ არის გათვალისწინებული არც შიდა დოკუმენტაციით და არც კანონმდებლობით — მაგალითად, ნარკოლოგიური აღრიცხვის შესახებ ცნობა, (შიდა რეგულაციით სავალდებულოა მხოლოდ დირექტორისთვის) რაც წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემს და არ შეესაბამება პერსონალურ მონაცემთა დაცვის პრინციპებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

1. ბავშვის პირადი საქმის წარმოების სისტემატიზაციისა და პროცესის სრულყოფის მიზნით რეკომენდებულია ცალკე დოკუმენტის შექმნა/ან ინტეგრაცია სხვა დოკუმენტთან, რომელიც განაზღვრავს ბავშვის პირად საქმეში შესატანი დოკუმენტების სტრუქტურას, განთავსებისა და შენახვის წესს, ასევე პასუხისმგებელ პირს.;
2. დაწესებულებამ უზრუნველყოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის კანონმდებლობასთან შესაბამისობა, მათ შორის გათვალისწინებული იქნას სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის შესახებ ცნობის წარმოდგენის მოთხოვნა.
3. პირადი საქმეები სტრუქტურა იყოს შიდა რეგულაციების და კანონმდებლობის შესაბამისი;
4. საჭიროა პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპების გათვალისწინება და მხოლოდ იმ დოკუმენტაციის შენახვა, რომელიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით ან შიდა რეგულაციით, რითაც თავიდან იქნება აცილებული განსაკუთრებით სენსიტიური ინფორმაციის (მაგალითად, ნარკოლოგიური სტატუსის შესახებ ცნობების) არასათანადო დამუშავება.

რჩევა

- სასურველია შეიმუშაოს და დაინერგოს შიდა მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც მოიცავს, მაგალითად, წელიწადში ერთხელ ყველა პირადი საქმის გადახედვას და აღწერას. ეს საშუალებას მისცემს დროულად გამოვლინდეს დოკუმენტური ხარვეზები და უზრუნველყოს მათი დროული გამოსწორება. აღნიშნულთან ერთად, შესაძლოა განისაზღვროს მზარეულების შემთხვევაში აუცილებელი დოკუმენტი — ცნობა ტუბერკულოზის, ბაქტერიებისა და ჭიის კვერცხების არარსებობის შესახებ;

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით, კერძოდ აღნიშნული გეგმით განსაზღვრული აქტოვობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსი - უზრუნველყოფს პირადი საქმეების კანონმდებლობის შესაბამისად წარმოებას, რაც შეუსაბამობას სრულად აღმოფხვრის. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილად** შესაბამისობით. **ინდიკატორის მოთხოვნა** **მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 1.ა. (ა).ი.პ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 13 დეკემბრის №36 6624348001 ბრძანებით დამტკიცებული ბაღებში ბავშვთა ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი წესი;
2. ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 28 აპრილის N36.6625118001 ბრძანებით დამტკიცებული პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი;
3. განცხადების ფორმა ბავშვის ჩარიცხვის მოთხოვნასთან დაკავშირებით;
- განცხადების ფორმა ბავშვის ამორიცხვის მოთხოვნასთან დაკავშირებით;
4. პერსონალის პირადი საქმეები;

შეფასება:			
4.2 პროცესების მართვა			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.3. მატერიალური რესურსი

4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.3 მატერიალური რესურსი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

შეფასება:
4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐
--------------------------------------	--	---	---

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მამიებელი უზრუნველყოფს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენასა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებას შემდეგი ფორმებით: შემუშავებულია ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 7 თებერვლის №36 66251142 ბრძანებით დამტკიცებული პირველადი სამედიცინო დახმარების წესი; ჰყავს ექთანი და გამოყოფილია სამედიცინო კაბინეტი. რამდენიმე თანამშრომელს აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია - დადასტურებული შესაბამისი სერთიფიკატებით; ერთი თანამშრომელი გადამზადებულია სახანძრო უსაფრთხოების კუთხით, რაც დასტურდება სერთიფიკატით. ორგანიზაციას აქვს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან; უზრუნველყოფილია სახანძრო სტენდით; გააჩნია დასკვნა შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ, (წარმოდგენილია ავტორიზაციის განაცხადთან ერთად შესაბამისობის გეგმაში, თუმცა შესრულებულია და ვიზიტის დროს წარმოდგენილია ადგილზე) ხოლო, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობასთან დაკავშირებით აქვს უფლებამოსილი ორგანოს 2018 წლის მიწერილობა. მიწერილობით დადგენილი ვადები გასულია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ წარმოადგინოს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ ორგანიზება გაუწიოს პერსონალის გადამზადებას პირველადი დახმარებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მიმართულებით.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით, კერძოდ აღნიშნული გეგმით განსაზღვრული აქტოვობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსი - უზრუნველყოფს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტთან შესაბამისობას, რაც შეუსაბამობას სრულად აღმოფხვრის. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილად შესაბამისობით. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს აქვს აღრიცხული ტერიტორიაზე არსებული მწვანე საფარი, თუმცა არ არის შესწავლილი და აღრიცხული ტერიტორიაზე არსებული მცენარეების პოტენციური საფრთხე. ვიზუალური დაკვირვებით, ეზოში არსებული მცენარეებს შორის შეინიშნება წვეტიანი და ეკლიანი სახეობის მცენარეები (მაგალითად, აგავა), რომლებიც არ არიან სათანადოდ იზოლირებული ან დაცული, რაც ზრდის ბავშვების ფიზიკური დაზიანების რისკს. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

1. დაწესებულებამ უნდა შეისწავლოს და შეაფასოს ეზოს ტერიტორიაზე არსებული ყველა მცენარის პოტენციური საფრთხე ბავშვების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კუთხით, (მნიშვნელოვანია, რომ შეფასება გააკეთოს კომპეტენტურმა პირმა);
2. მოხდეს - საშიში (ეკლიანი, წვეტიანი, შხამიანი ან ალერგიული რეაქციის გამომწვევი) მცენარეების საფრთხის გაუვნებლობა, ან განთავსდეს სათანადოდ დაცულ გარემოში.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით, კერძოდ აღნიშნული გეგმით განსაზღვრული აქტოვობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსი - უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე

არსებული მცენარეების შესწავლას და მათი საფრთხის გაუვნებლობას, რაც შეუსაბამობას სრულად აღმოფხვრის. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება

დაწესებულებას არ გააჩნია დოკუმენტურად განსაზღვრული მექანიზმი, რომელიც ასახავს ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველყოფას დაწესებულების ტერიტორიიდან გასვლისას, მათ შორის, პასუხისმგებელი პირების დანიშვნის, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების, გადაადგილებისას ბავშვთა დათვლის პროცედურების განსაზღვრის წესების შესახებ და სხვა. კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ტერიტორიიდან გაყვანას უზრუნველყოფს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობით. გაერთიანებას შემუშავებული აქვს შესაბამისი ნებართვის განაცხადი. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შეიმუშავოს და დოკუმენტურად განსაზღვროს მექანიზმი, რომელიც მოიცავს ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესებს დაწესებულების ტერიტორიიდან გასვლისას.

რჩევა

სასურველია, თითოეული გასვლითი აქტივობისთვის მშობელს მიეცეს შესაძლებლობა კონკრეტული ინფორმაციის საფუძველზე გასცეს წერილობითი თანხმობა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით, კერძოდ აღნიშნული გეგმით განსაზღვრული აქტობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსი - უზრუნველყოფს ბავშვების ტერიტორიიდან გაყვანისას უსაფრთხოების მექანიზმების დამტკიცებას, რაც შეუსაბამობას სრულად აღმოფხვრის. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება



1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

თითოეულ ჯგუფში გამოკრულია ვიზუალური დღის განრიგი ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმალეზე, რომელიც წარმოდგენილია ბავშვებისთვის ადვილად აღსაქმელი ფორმით. დღის განრიგი მოიცავს დაგეგმილ აქტივობებს, მინიშნებები განთავსებულია ცენტრებთან და სივრცეებთან, რაც ხდის სასწავლო გარემოს პროგნოზირებადს და უზრუნველყოფს ბავშვის ჩართულობასა და უსაფრთხო გარემოში ყოფნას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია, რომ ჯგუფებში წარმოდგენილი ვიზუალური დღის განრიგი იყოს უფრო მრავალფეროვანი, რაც გარემოს გახდის ბავშვებისთვის უფრო მეტად პროგნოზირებადს. ასევე მიზანშეწონილია, ბავშვების ჩართვა დღის განრიგის გაცნობისა და მისი ელემენტების შექმნის პროცესში, მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს დღის განრიგის ვიზუალიზაციას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართ თანამშრომელთა ცნობიერება არ დასტურდება დაწესებულების მოქმედი რეგულაციებით, დოკუმენტირებული პრაქტიკით ან შესაბამისი ჩანაწერებით. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არსებობდეს სიტყვიერი თუ ქცევითი მიდგომა ბავშვთა უფლებების პატივისცემის მიმართულებით, მისი ფორმალური ან არაფორმალური სახეები დოკუმენტურ მასალებში არ იკვეთება, რაც

ხელს უშლის აღნიშნული კომპონენტის შეფასებას როგორც სისტემურად უზრუნველყოფილს. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დამაკმაყოფილებელი.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს ბავშვთა უფლებების დაცვის პრინციპების ინტეგრირება შიდა რეგულაციებში, გაწეროს კონკრეტული მიდგომები და უზრუნველყოს მათი პრაქტიკაში დანერგვა.

რჩევა

სასურველია შესაბამისი ტრენინგებისა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება პერსონალისათვის.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით, კერძოდ აღნიშნული გეგმით განსაზღვრული აქტოვობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსი - უზრუნველყოფს ბავშვთა უფლებების დაცვის პრინციპების ინტეგრირებას შიდა რეგულაციებში და პრაქტიკაში დანერგვას, რაც შეუსაბამობას სრულად აღმოფხვრის. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში რეგულირებულია ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში რეაგირების პროცედურები და იდენტიფიცირებულია პასუხისმგებელი პირი. ა. (ა). ი. პ. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025/25/07 წლის რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები რეფერირებისთვის: გაერთიანების დონეზე – იურისტი, დაწესებულების დონეზე – ბაღის დირექტორი. აღსანიშნავია, რომ პასუხისმგებელ პირებს არ აქვს გავლილი გადამზადება ბავშვთა მიმართ ძალადობის თემაზე, მათ შორის, რეფერალთა გათვალისწინებულ პროცედურებთან დაკავშირებით - ძალადობის ამოცნობის და რეაგირების მექანიზმებზე. ა. (ა). ი. პ. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 6 თებერვლის № 36 6625037001 ბრძანებით დამტკიცებული წესი განსაზღვრავს: ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირებისა და რეფერირების პროცედურებს, კონფიდენციალურობის დაცვის წესებს, დოკუმენტაციის წარმოების მოთხოვნებს. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი: ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირების

მექანიზმები, რეაგირების საფუძვლები და ფორმები, პასუხისმგებელი პირები, და სპეციალური ფორმა – „ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათი“ - შევსების წესი. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია პასუხისმგებელი პირის (და საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი თანამშრომლების) გადამზადება ბავშვთა დაცვის მიმართულებით. გადამზადება უნდა მოიცავდეს: ძალადობის ფორმების იდენტიფიცირების უნარების გაძლიერებას; რეაგირების პროცედურების პრაქტიკულ ცოდნას; კონფიდენციალურობის დაცვისა და დოკუმენტაციის სწორად წარმოების უნარებს; ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების სტრატეგიებს. გადამზადება უნდა განხორციელდეს შესაბამისი სერტიფიცირებული ორგანიზაციების ან სახელმწიფო ინსტიტუტების ჩართულობით და უნდა დადასტურდეს შესაბამისი სერტიფიკატით

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში დასაქმებულ აღმზრდელებს გააჩნია ადაპტაციისა და ტრანზიციის ხელშეწყობი ცოდნა და მზაობა, რაც დასტურდება პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებით. თუმცა, აღნიშნული არ არის ფორმალიზებული და დაწესებულებას არ გააჩნია გაწერილი მექანიზმი ან რეგულაცია. აღნიშნული ქმნის რისკს, რომ პროცესი არ იქნება ერთგვაროვანი და სტანდარტიზებული სხვადასხვა თანამშრომლის ან ჯგუფის შემთხვევაში. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შეიმუშაოს ადაპტაციისა და ტრანზიციის მექანიზმის რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავს ადაპტაციისა და ტრანზიციის ეტაპებს, გამოყენებულ მეთოდებს, პასუხისმგებელ პირებს და ბავშვის საჭიროებებზე მორგებული მხარდაჭერის მექანიზმებს.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით, კერძოდ აღნიშნული გეგმით განსაზღვრული აქტოვობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსი - უზრუნველყოფს ადაპტაციისა და ტრანზიციის მექანიზმის შესაბამისი რეგულაციის შემუშავებას, რაც შეუსაბამობას სრულად აღმოფხვრის. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილად შესაბამისობით. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით, თავმოყრილია სხვადასხვა სახის პერსონალური მონაცემი, რის გამოც აუცილებელია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტის დაცვა. პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის მოთხოვნები განსაზღვრულია ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 6 თებერვლის №ბ.36 6625037001 ბრძანებით დამტკიცებული ბავშვზე ძალადობის ექვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესით, რომელიც არეგულირებს როგორც პერსონალური მონაცემების დაცვას, ისე ინფორმაციის დამუშავებისა და გავრცელების პროცედურებს. სტატუსის მამიებელს გააჩნია მშობლის წერილობითი თანხმობის შაბლონი, რომელიც ეხება: ბავშვის ფოტო/ვიდეო გადაღებას, შესაბამისი მასალის სოციალურ ქსელში განთავსებას და სხვა მსგავს საკითხებს. წინამდებარე დაწესებულებას ამ ეტაპზე არ ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი — ოფიცერი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნა.

რჩევა

სასურველია პერსონალს პერიოდულად მიეწოდოს ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით, კერძოდ აღნიშნული გეგმით განსაზღვრული აქტოვობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსი - უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა

ოფიცრის დანიშვნას, რაც შეუსაბამობას სრულად აღმოფხვრის. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილი** შესაბამისობით. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა.(ა).ი.პ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 06 თებერვლის №.36 6625037001 ბრძანებით დამტკიცებული ბავშვზე ძალადობის ექვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი;
2. დღის განრიგი;
3. ა.(ა).ი.პ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 07 თებერვლის №.36 66251142 ბრძანებით დამტკიცებული პირველადი სამედიცინო დახმარების წესი;
4. გაყვანისა და ფოტო/ვიდეო გადაღების ფორმები;
5. ა.(ა).ი.პ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025/25/07 წლის რეგულირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
6. მცენარეთა აღრიცხვის ფორმა;
7. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
8. სახანძროს მიწერილობა;
9. შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ დასკვნა.

შეფასება:			
4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.7. ფინანსური რესურსი

4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების მიერ წარმოდგენილია მხოლოდ ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, შტატგარეშე მომსახურება, კვების ხარჯი, საოფისე ხარჯი და სხვა. ხარჯთაღრიცხვა წარმოადგენს გაერთიანებაში შემავალი ყველა სტრუქტურული ერთეულის საერთო ფინანსურ გეგმას, სადაც არ არის დეტალურად გამოყოფილი ცალკეული სტრუქტურული ერთეულების (ბაღების) ფინანსური რესურსები. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს ბიუჯეტი, რაც ართულებს ხარჯვის ეფექტიანობისა და გეგმასთან შესაბამისობის შეფასებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

შემუშავდეს ბიუჯეტი, სადაც დეტალურად აისახება თითოეული სტრუქტურული ერთეულისათვის გამოყოფილი რესურსები, ხარჯების მიზნობრიობა და განხორციელების პერიოდულობა. ბიუჯეტი უნდა უზრუნველყოფდეს სამოქმედო გეგმის ეფექტიან შესრულებას და უკავშირდებოდეს დაწესებულების დაგეგმილ საქმიანობას.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით, კერძოდ აღნიშნული გეგმით განსაზღვრული აქტოვობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსი - უზრუნველყოფს ბიუჯეტის შემუშავებას, რომელიც, ასახავს თითოეული სტრუქტურული ერთეულისათვის გამოყოფილი რესურსებს, ხარჯების მიზნობრიობა და განხორციელების პერიოდულობას, რაც შეუსაბამობას სრულად აღმოფხვრის. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილად შესაბამისობით. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილია: ხარჯთაღრიცხვა(ბიუჯეტი) რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო რესურსების შესყიდვისთვის ფინანსებს და საგანმანათლებლო რესურსების საჭიროებების შესახებ დაწესებულების მიერ გაერთიანებისთვის გაგზავნილი მიმართვები(მოთხოვნა) და მიღება-ჩაბარების აქტები, რომლებიც გარკვეულ საგანმანათლებლო ნივთებზეა შედგენილი. თუმცა, იმ ფაქტის გამო, რომ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა(ბიუჯეტი) არის ზოგადი და აერთიანებს გაერთიანებაში შემავალ ყველა ბაღს, არ იძლევა შესაძლებლობას განისაზღვროს, ფარავს თუ არა ბიუჯეტი კონკრეტულად ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიმის საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო მიზნებსა და საჭიროებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

უზრუნველყოფილი იქნას დაწესებულების დონეზე გამოყოფილი, მიზნობრივი ბიუჯეტის წარმოდგენა, რომელიც მკაფიოდ ასახავს საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყოფილ ფინანსურ რესურსებს კონკრეტულად ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიმის საბავშვო ბაღისთვის.

რჩევა

სასურველია: საგანმანათლებლო რესურსების საჭიროებების იდენტიფიცირების პროცესის სისტემატიზაცია; საჭიროებებისა და მიღებული რესურსების შეფასების ფორმის შემუშავება.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით, კერძოდ აღნიშნული გეგმით განსაზღვრული აქტოვობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსი - უზრუნველყოფს მიზნობრივი ბიუჯეტის წარმოდგენას, რომელიც მკაფიოდ ასახავს საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყოფილ ფინანსურ რესურსებს კონკრეტულად ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიმის საბავშვო ბაღისთვის, რაც შეუსაბამობას სრულად აღმოფხვრის. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება **მეტწილად შესაბამისობით. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულებას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას გააჩნია ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის დოკუმენტურად გაწერილი პროცედურები, რაც განსაზღვრულია ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 24 აპრილის №36 6625114001 ბრძანებით დამტკიცებულ „ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის წესში“.

აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს ბიუჯეტის დაგეგმვის დეტალურ ეტაპებსა და ვადებს, გაერთიანებისა და მუნიციპალიტეტის შესაბამის უფლებამოსილებებს, ასევე მოიცავს შესრულების ანგარიშგებისა და შეფასების მექანიზმებს. აღნიშნული უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების მართვის სრულ ციკლს, რომელიც მოიცავს როგორც დაგეგმვასა და განკარგვას, ასევე მონიტორინგსა და ანგარიშგებას, რითაც იზრდება პროცესის გამჭვირვალობა, სანდოობა და პასუხისმგებლობა. წარმოდგენილი გაწეული და მიმდინარე მუშაობის ანგარიშები ადასტურებს, რომ პროცედურები არა მხოლოდ დოკუმენტურად არსებობს, არამედ პრაქტიკაშიც სრულად მოქმედებს. ასევე, გაწერილი პროცედურები ემყარება უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებულ ოფიციალურ დოკუმენტს, რაც მის სავალდებულო და ინსტიტუციურად გამყარებულ ხასიათს ადასტურებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 იანვრის N36.625023001 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების 2025 წლის ბიუჯეტი;
2. ა.(ა).ი.პ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 24 აპრილის Nბ.36 6625114001 ბრძანებით დამტკიცებული ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის წესი;
3. გაწეული სამუშაოს ანგარიში;
4. რესურსების შეძენის შესახებ მიმართვიანობა;
5. მიღება-ჩაბარების აქტები;
6. შესყიდვის ხელშეკრულებები.

შეფასება:			
4.7 ფინანსური რესურსი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

1. სავალდებულო დანართის დასახელება	
ვიზიტის დღის წესრიგი	
4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი	
4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი	
4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი	
დანართის N	2. სხვა დანართის დასახელება
1	
2	
3	

თარიღი 24/10/2025

ხელმოწერი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

სახელი გვარი

ხელმოწერა



ხარისხის ექსპერტი

სალომე აბდალაძე

ს. აბდალაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები
კურიკულუმის ექსპერტი:

თეა ქემოკლიძე

თ. ქემოკლიძე

კვების დარგში ექსპერტი:

მარიამ გორდაძე

მ. გორდაძე

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი:

რუსუდან ჯანიაშვილი

რ. ჯანიაშვილი

4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი									
საფირმო საბეჭდილება: ა. (ა.ი.პ) ხაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანება პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის საბეჭდილება (არსებობის შემთხვევაში);ხაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელ დიშის საბავშვო ხაღი						ზრბანება N: 702271; 19/06/2025;			
პროგრამ(ებ)ის განხორციელების დატბორივი მისამართი: ხაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელი დიში (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)						ვიზიტის თარიღი: 2025 წლის 24-25 ივლისი			
კრიტერიუმი 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დადგენილ საგშეთა რაოდენობას									
N	ინდიკატორი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება	დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები			
1	დაწესებულება უზრუნველყოფს სააღზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი საგშეთა რაოდენობის გათვალისწინებით	☐	☒	☐	☐	1.ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; 2.შენიშნა-ნაგებობის სქემა; 3.დოკუმენტი შენიშნა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ; 4.უფლებამოსილი უწყების მიწერილობა შენიშნა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ; 5.უზრუნველქტბის ხელშეკრულება; 6. შესაბამისობის გეგმა; 7.ვიზუალური დათვალიერების შედეგები.			
2	დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენიშნის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს								
3	დაწესებულებას შემუშავებული აქტს საგშეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს								
შესაბამისობის კითხვარი									
N	შეფასების ინდიკატორი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება	ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა	რეკომენდაცია	რჩევა	არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
1	დაწესებულება უზრუნველყოფს სააღზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი საგშეთა რაოდენობის გათვალისწინებით;	☒	☐	☐	☐	სტატუსის მამიღლის მიერ საგანმანათლებლო პროექტის განხორციელებისთვის გამოიღვენება ხაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიშიშ შენიშნა-ნაგებობა;	წარმოდგენის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენიშნა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.	სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული მიწერილობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების კონტროლი სახანძრო აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შესაბამისობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება.	დაწესებულებამ წარმოდგინა დადგენილი შესაბამისობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვეზე, კერძოდ შენიშნა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით განსაზღვრა საჭირო აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შესაბამისობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება.
	დაწესებულებას აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან	☒	☐	☐	☐	აღნიშნული ფართობი გადაცემულია უზრუნველქტბის ფორმით, რაზეც წარმოდგენილია შესაბამისი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და შენიშნა-ნაგებობის სქემა;			
	დაწესებულებას აქვს შენიშნა-ნაგებობის სქემა	☒	☐	☐	☐				
	დაწესებულებას აქვს დოკუმენტი შენიშნა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (გაცემული შესაბამის სდეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტისის ეროვნული ბიუროს მიერ)	☒	☐	☐	☐				
	დაწესებულებას აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენიშნა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ	☐	☒	☐	☐	სააღზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფილია, მინიმუმ, ავტორიზაციის ვადისა და განსაზღვრული საგშეთა რაოდენობის გათვალისწინებით. ინფრასტრუქტურული მოწყობა შეესაბამება შენიშნა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ შედგენილ დასკვნას;			
	დაწესებულებას აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენიშნა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ					ასევე, დაწესებულებას აქვს უფლებამოსილი უწყების მიერ გაცემული მიწერილობა(2022 წლის, თუმცა მოთხოვნების შესრულების ვადა გასულია)			

დანართი
N1

2	დაწესებულება განაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს									
2.1.	დაწესებულება აქვს შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული აქტი (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის წესბრუნვა გაცემულია 2023 წლის 21 თებერვლის შემდეგ)	☐	☐	☐	☐					
2.2.	მოთხოვნები დაწესებულების შენობა-ნაგებობის მიმართ									
	დაწესებულება განთავსებულია პირველ, პირველ და მეორე, პირველ, მეორე და მესამე სართულზე	☒	☐	☐	☐					
	ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ ან/და მეორე სართულზე	☒	☐	☐	☐					
	მესამე სართულზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განთავსებულია:									
	ადმინისტრაციული სამყოფელი	☐	☐	☐	☐					
	ლია სარეკრეაციო სივრცეები	☐	☐	☐	☐					
	გარე სივრდე ფიზიკური აქტივობებისთვის	☐	☐	☐	☐					
	სასკოლო მზაობის ჯგუფები	☐	☐	☐	☐					
	მესამე სართულზე სასკოლო მზაობის ჯგუფების განთავსების შემთხვევაში:									
	ამდე სართულზე განთავსებულია სამიტარული კვანძები(ები) ბავშვებისათვის	☐	☐	☐	☐					
	მესამე სართულის კიბის უკერძო კიბის დასაწყისში აქვს დამცავი ბარიერი	☐	☐	☐	☐					
2.3.	დაწესებულებაში, შიდა და გარე ტერიტორიაზე, განთავსებულია შემდეგი სადასტურებელი სივრცეები:									
	ჯგუფური ოთახები ან/და კურიკულუმის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე - სართი სივრდე, ამასთან ეწევა ჯგუფი უზრუნველყოფილია ინდივიდუალური ჯგუფური ოთახით ან კურიკულუმის მოწოდებებიდან გამომდინარე შერჩეული სართი სივრცით ბავშვზე არასაკლებ 2კვმ.	☒	☐	☐	☐					შენიშვნა: ტრისართულიანია. დაწესებულებაში ფუნქციონირებს: 2 ჯგუფური ოთახი; დარბაზი; საძინებელი ოთახი; გასახდელი სივრდე; 1 სასაბავშვო კვანძი პერსონალისთვის; მქრეკურის ოთახი; თანამშრომლობითი საქმიანობისთვის განკუთვნილი სივრდე; დახურული სივრდე სენსიზორული აქტივობებისთვის, სამედიცინო მომსახურებისთვის გამოყოფილი ცალკე კაბინეტი; კვების ბლოკი მოიცავს:სამზარეულოს, ჭურჭლის სარეცხ ზონას,მშრალი პროდუქტების შესანახ სივრდეს მესამეში მაგიერ-დანადგარებით, ბოსტნეულის დაბრუნების სივრდეს და სამკურნეო ზონას. შენობა თბება ცენტრალური გათბობის სისტემით. სამკურნეო ზონისთვის ცალკე ოთახი არ არის გამოყოფილი, თუმცა დერეფანში დგას კარადები, რომელიც დააღებულია სათანადოდ.
	საძინებელი ოთახი(მოსასვენებელი სივრდე)	☒	☐	☐	☐					
	ადრეული და სკოლამდელი განათლების პირველი წლის ჯგუფებში საძინებელი სივრდე(ა) განთავსებულია ინდივიდუალური ოთახებში	☒	☐	☐	☐					
	გასახდელი ზონა, რომელზეც გამოყოფილია სივრდე თითოეული ბავშვისთვის პირადი წიფების შესანახად	☒	☐	☐	☐					
	საპირბუთო კვანძი ბავშვებისთვის	☒	☐	☐	☐					
	საპირბუთო კვანძი/კაბინა პერსონალისთვის	☒	☐	☐	☐					
	ადმინისტრაციული სამყოფელი (მათ შორის სივრდე თანამშრომლობითი საქმიანობისთვის)	☒	☐	☐	☐					
	დახურული სივრდე სენსი-მოტირული აქტივობებისთვის(დარბაზი)	☒	☐	☐	☐					
	თუ დახურული სივრდე სენსი-მოტირული აქტივობებისთვის(დარბაზი) განთავსებულია ნახევარსართული, ადრეული სივრდე უზრუნველყოფილია გათბობის სისტემით და ბუნებრივი განათება-განათების პირველი დერეფანით	☐	☐	☐	☐					
	კანონმდებლობის შესაბამისად მოწყობილი სამედიცინო მომსახურების სივრდე	☒	☐	☐	☐					
	კვების ბლოკი	☒	☐	☐	☐					
	სამკურნეო ზონა	☒	☐	☐	☐					
	ადრეული ასაკის (2 წლამდე) ბავშვების ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ სართულზე	☐	☐	☐	☐					
	ადრეული ასაკის (2 წლამდე) ჯგუფის ბავშვებისთვის დაწესებულებაში გამოყოფილია სპეციალური სივრდე მუცხური დედეებისთვის	☐	☐	☐	☐					
	თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა მომსახურების, დაწესებულების პროგრამებში ჩართული ბავშვებისთვის მოწყობილია ინდივიდუალური/იზოლირებული შესასვლელი შენობაში	☐	☐	☐	☐					
	თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, სადაც ამდროულიად ხდება სხვა ტიპის მომსახურების მოწოდება სხვა ასაკის ბავშვებისთვის, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფური ოთახები განთავსებულია შენობის პირველ სართულზე	☐	☐	☐	☐					
	დაწესებულებაში არის პანდუსი ან/და ლიფტი/ბაქს ლიფტი მუხლადული შესასვლელის მქონე პირებისთვის	☒	☐	☐	☐					
	დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით	☒	☐	☐	☐					
	მერიტორიკული დაწესებულებაში (არაუმეტეს 2 ჯგუფი/60 ბავშვი) გათბობის წყაროდ გამოიყენებულია დახურულ ზედაპირიანი კოლექტორები	☐	☐	☐	☐					
	დაწესებულების შიდა სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ვიზუალური მონიტორინგით, რაც უზრუნველყოფს სივრცეში ბავშვების მატრიც ორიენტაციას	☒	☐	☐	☐					
	დაწესებულების ტერიტორიაზე არ არის გამოყენებული აზბესტის შემცველი მასალა	☒	☐	☐	☐					

